



## გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი  
 პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე  
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე  
 გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე  
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე  
 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა  
 პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი  
 პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი  
 პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

## მთავარი რედაქტორი

ასისტენტი, სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

## პროფესორ, სამართლის დოქტორ, საპატიო დოქტორ ოთარ გამყრელიძისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა – 1

### შინაარსი

წინასიტყვაობა

35

### სტატიები

#### გავშვის/არასრულწლოვნის უფლებები და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქ. ნინო გვენეტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

36

#### იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა მართლწინააღმდეგობასა და პრალს შორის საკამათო სივრცეში

პროფესორი, სამართლის დოქ. ბერნდ ჰაინრიხი, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

45

#### განზრახვის ცნება და მისი ადგილი დანაშაულის სისტემაში (ქართული სისხლის სამართლის მიხედვით)

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. ლაფრენტი მალლაკელიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

52





## სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი  
ბრემენის რაიონული სასამართლოს  
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი  
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე  
პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე  
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი  
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი  
LL.M. (ბერლინი)  
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი  
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე  
ადვოკატი დავიდ კონრადი  
პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე  
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.  
(ფრაიბურგი)  
ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი LL.M.  
(იენა)  
დოქ. ანეკე პეტცუე  
დოქ. მარტინ პიაცენა  
დოქ. ეროლ პოლრაიხი  
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის  
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის  
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩიანუ LL.M.  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი  
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა  
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.  
(ჰამბურგი)  
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი  
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი  
ასოცირებული პროფ. დოქ. ლევან ხარანაული  
ასოცირებული პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M.  
(ფრაიბურგი)  
პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M. (მიუნხენი)  
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი  
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი  
ფრანკ ჰუფველდი

## ჟურნალის 2023 წლის მეორე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

**თარგმანი:**  
აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი  
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი  
თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი

## სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი

## სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის  
სამუშაო ჯგუფის წევრი

## 2023 წლის მეორე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.  
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ),  
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა  
კომიტეტის თავმჯდომარე

**ტექნიკური მხარდაჭერა:** გვანცა მახათაძე

## წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

გერმანულ-ქართულმა სისხლის სამართლის ჟურნალმა (DGStZ) უკვე განიმტკიცა ადგილი გერმანულ-ქართული სამართლის განვითარების ფარგლებში და ძლიერ მოხარული ვართ, რომ თქვენთან ერთად თანამშრომლობის მერვე წელს ვაგრძელებთ.

ჟურნალის ეს გამოცემა ისე, როგორც მისი მომდევნო გამოცემა, განსაკუთრებული მადლიერებით ეძღვნება მის ერთ-ერთ გამომცემელს, პროფესორს, სამართლის დოქტორს, საპატიო დოქტორს, *ოთარ გამყრელიძეს*. 2022 წლის 14 მარტს *ოთარ გამყრელიძეს* 90 წელი შეუსრულდა.

*ოთარ გამყრელიძის* მიერ განეული სამეცნიერო საქმიანობა განსაკუთრებით ღირებულია. ის არის გერმანულენოვანი იურისტი და მან მრავალ ქართველ იურისტს შეასწავლა გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა და სისხლის სამართლის მნიშვნელობა სამართლებრივ სახელმწიფოში. ის ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი გამორჩეული გამომცემელია. *ოთარ გამყრელიძე* მისი მოღვაწეობისადმი განსაკუთრებული მადლიერების ნიშნად 2022 წლის 28 დეკემბერს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ. ჟურნალის თანაგამომცემლები კეთილშობილური ტრადიციების შესაბამისად ვიყენებთ ამ სასიხარულო მოვლენას როგორც შესაძლებლობას და გვსურს, DGStZ-ის ორი სპეციალური გამოცემით გულითადი მადლობა გადავუხადოთ მას შრომისა და თავდადებისათვის.

აღსანიშნავია *ოთარ გამყრელიძის* დიდი ძალისხმევა, რომელიც მან გერმანულ-ქართული სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებისთვის გასწია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში *ოთარ გამყრელიძემ* პირველმა შექმნა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის პროექტი 1996 წელს ქალაქ ფრაიბურგში მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში სამეცნიერო მივლინების დროს. საყურადღებოა, რომ ეს პროექტი საბჭოური კანონმდებლობისთვის დამახასიათებელ მიდგომებს აღარ ითვალისწინებდა და მასში დიდწილად ასახული იყო გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერების მაშინდელი ძირითადი მიდგომები.

აღნიშნული პროექტი მსჯელობის საგნად იქცა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსა და დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის პირველი კოდექსის პროექტის შემუშავებელ სახელმწიფო საქვეუწყებო კომისიაში, რომლის წევრიც იყო *ოთარ გამყრელიძე*. შედეგად, სახელმწიფო კომისიამ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში გაითვალისწინა *ოთარ გამყრელიძის* მიერ შემუშავებული პროექტის მთელი რიგი საკითხები.

*ოთარ გამყრელიძე* აქტიურად ახორციელებდა პრაქტიკული საქმიანობასაც; კერძოდ, სხვადასხვა წელს იგი ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას, აგრეთვე იყო სამართლებრივი მრჩეველი საქართველოს პარლამენტში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ბოლო წლებში კი ის სამეცნიერო საქმიანობას აგრძელებს. იგი 2011 წელს მონაწილეობდა თბილისში გამართულ, სისხლის სამართლის ქართველ და გერმანულ პროფესორთა პირველ სამეცნიერო სიმპოზიუმში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ *ოთარ გამყრელიძემ* საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ პუბლიცისტიკას. მისი პუბლიცისტური წერილები ქართველ მკითხველში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. *ოთარ გამყრელიძის* ნაშრომები, მისი აკადემიური აზროვნება, სამართლებრივი წერის სტილი, ლიტერატურული ენა და ალევორიები ქართული იურისპრუდენციის დიდი მონაპოვარია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით გვსურს, მოკრძალებული ჟესტით მადლობა გადავუხადოთ *ოთარ გამყრელიძეს* დაუღალავი შრომისათვის. ვიმედოვნებთ, რომ თემატურად საინტერესო საკითხები შევაგროვებთ და ამ გზით გერმანულ-ქართულ სამართლებრივ განვითარებას უფრო მეტად გავაძლიერებთ.

გამომცემლების სახელით:

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ ჰეგერი*,  
პროფესორი, სამართლის დოქ. *ბერნდ ჰაინრიხი*,  
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ.  
*ანრი ოხანაშვილი*

# ბავშვის/არასრულწლოვნის უფლებები და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქ. *ნინო გვენეტაძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

## I. შესავალი

ბავშვის/არასრულწლოვნის უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ამ თვალსაზრისით მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მუდმივი საზრუნავია. 2019 წლის 20 ნოემბერს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის<sup>1</sup> 30 წლისთავი აღინიშნა ქვეყანაში. საქართველომ, როგორც კონვენციის ხელმძღვანელმა სახელმწიფომ, საიუბილეო თარიღი მასშტაბურად აღნიშნა. საყოველთაო საზეიმო ღონისძიებას სახელმწიფო მყარი საკანონმდებლო ბაზითა და არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის სამართალწარმოებაში დამკვიდრებით შეუერთდა. კონვენციის რატიფიცირებიდან (1994 წელი) ოცდაექვსი წლის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბავშვთა/არასრულწლოვანთა სპეციალური ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფისაკენ.

„ბავშვის უფლებები გზაჯვარედინზე!“, „ყველა უფლება ყველა ბავშვისთვის!“ – ეს იყო მთავარი გზავნილი კონვენციის საიუბილეო დღეებში, რომლითაც ბავშვის უფლებების დასაცავად ახალი გამოწვევები გაეგზავნა მთელ მსოფლიოს – დაახლოებით 193 სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოსაც.

საქართველოს პარლამენტმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი<sup>2</sup> – 2015 წლის 12 ივნისს, ხოლო ბავშვის უფლებათა კოდექსი – 2019 წლის 20 სექტემბერს მიიღო. ამდენად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, იმთავითვე განისაზღვრა მათი იერარქია ქვეყნის კანონმდებლობაში. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამკ და ბავშვის უფლებათა კოდექსი

წარმოადგენენ განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს.

საქართველოსთვის, როგორც კოდიფიცირებული სამართლის ტრადიციების გამგრძელებელი ქვეყნისათვის, ფუნდამენტურია იმის უზრუნველყოფა, რომ შიდა კანონმდებლობა ბავშვის/არასრულწლოვნის უფლებებზე სრულად შეესაბამებოდეს კონვენციას. ამასთან, კონვენციის პრინციპების გამოყენება ბავშვის უფლებათა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ჰარმონიზაციით იქნება შესაძლებელი.

კონვენციამ აღიარა და საყოველთაოდ დაამტკიცა 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის ძირითადი უფლებები. საქართველო კონვენციას მიღებიდან 5 წლის თავზე – 1994 წელს შეუერთდა. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილების თანახმად, მოხდა კონვენციის რატიფიცირება და ისევე, როგორც მსოფლიოს უმრავლეს – 193 სახელმწიფოში, საერთაშორისო ხელშეკრულება ჩვენთანაც ამოქმედდა. კონვენციის რატიფიცირებით სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, შიდა კანონმდებლობით დაერეგულირებინა ბავშვის უფლებები და მათი შესრულება უზრუნველყოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს ისტორიული მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენადაც სახელმწიფო აქტიურად შეუდგა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას ბავშვის უფლებების დასაცავად.

სახელმწიფოს ვალდებულება – კონვენცია გაცნო საზოგადოებისათვის და უპირველესად, თავად ბავშვებისათვის მიეცა ცოდნა საკუთარი უფლებების შესახებ და ამ გზით მათი ცნობიერება ამაღლებინა – მთავარი გამოწვევა გახდა. ქვეყანაში დაიწყო აქტიური სამუშაოები ბავშვის, როგორც უფლებების მქონე სუბიექტის, ასაღიარებლად და მისი უფლებების დასაცავად.

<sup>1</sup> შემდგომ შემოკლებულია, როგორც კონვენცია.

<sup>2</sup> შემდგომ შემოკლებულია, როგორც ამკ.

ამასთანვე, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ ამკ-ში გამოყენებულ ტერმინ „არასრულწლოვანზე“. აღნიშნული ტერმინი ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1928 წლის სისხლის სამართლის და 1984 წლის 15 დეკემბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად გამოიყენებოდა ქვეყნის სამართალწარმოების პრაქტიკაში. საქართველოს მიერ 1994 კონვენციის რატიფიცირების მიუხედავად, შიდა კანონმდებლობაში არ განხორციელებულა კოდიფიკაცია კონვენციისეული ტერმინის – „ბავშვის“ დასამკვიდრებლად. ნათელია, რომ ქვეყნის კანონმდებლობის კონვენციასთან სრული ჰარმონიზაციისათვის, ამკ-ში „არასრულწლოვანის“ ნაცვლად, ტერმინ „ბავშვის“ დამკვიდრება უფრო ნათლად აღსაქმელს გახდის კანონმდებლობას თვით ბავშვებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

სახელმწიფომ ბავშვთა/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი სისტემის დანერგვაზე მუშაობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის შექმნით დაიწყო და ეფექტიანად გააგრძელა ბავშვის სრული ავტონომიის დამკვიდრებით, რაც ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებით აღიარა.

წინამდებარე სტატიას დიდი პატივისცემით ვუძღვნი ჩემს ძვირფას პროფესორს, *ოთარ გამყრელიძეს*. პროფესორ *გამყრელიძეს* დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის კვლევასა და განვითარებაში. მისი გამორჩეული მოღვაწეობა და პროგრესული მიდგომები შეუმჩნეველი არ დარჩენილა საქართველოს ფარგლებს მიღმაც. საამაყოა, რომ მქონდა პატივი პროფესორ *გამყრელიძის* სტუდენტი ვყოფილიყავი და პირადად მიმელო მისგან ცოდნა და გამოცდილება. გულითადად ვულოცავ ჩემს მასწავლებელს, ბატონ *ოთარს*, საიუბილეო თარიღს.

## II. ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა

კონვენციით შექმნილი კატალოგის შესაბამისად, საქართველომ ეტაპობრივად დაიწყო სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება და კანონმდებლობის შექმნა/სრულყოფა ბავშვის ფართო ავტონომიის ასა-

ღიარებლად. დღეისათვის რეალობაა, რომ სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, ბავშვის უფლებების დასაცავად და ამ უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად ეფექტურ საკანონმდებლო მექანიზმებს ამუშავებს ამკ-ისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის სახით.

კონვენცია ყოვლისმომცველი ინსტრუმენტი და ყველა კატეგორიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს აერთიანებს. ბავშვის უფლებები სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დოკუმენტებშიც არის მოცემული. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების/ბავშვების და მათი საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ასევე, მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1985 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („პეკინური“ წესები).<sup>3</sup>

ყურადღება უნდა გამახვილდეს ამკ-ის შექმნამდე ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრებულ ტერმინ „არასრულწლოვანზე“. აღნიშნული ტერმინი კანონმდებლობამ კონვენციასთან მიერთების შემდეგაც შეინარჩუნა. საქართველოს 1960 და 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსებისა და 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების გავლენით – საქართველო კონვენციის რატიფიცირების შემდეგაც განაგრძობდა არასრულწლოვნების/ბავშვების მიმართ ზრდასრულთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისეთი დებულებებისა და მკაცრი ზომების გამოყენებას, რომლებიც შეზღუდულად ითვალისწინებდა ბავშვის ასაკთან დაკავშირებულ შეღავათებს, მათ მოწყვლადობასა და განსაკუთრებული დაცვის უფლებას.<sup>4</sup>

კონვენციისეული ტერმინი „ბავშვი“ მოგვიანებით, 2019 წელს მიღებული ბავშვის უფლებათა კოდექსით დამკვიდრდა. ეს ტერმინი ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-2 მუხლში განმარტებულია,

<sup>3</sup> იხ. საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, გვ. 32, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl5.pdf> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

<sup>4</sup> სისხლის სამართლის კოდექსის (მეხუთე კარი – არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი (მუხლები: 80-100)) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სპეციალური ნორმები არასრულწლოვნებზე (მე-3 და 316-ე მუხლები) 2015 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქციით (N 3714-24.06.2015).

როგორც 18 წლამდე არასრულწლოვანი (ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსი გვაძლევს „მოზარდის“ ცნების განმარტებას და მოზარდად მიიჩნევს ბავშვს 10 წლიდან 18 წლის ასაკის მიღწევამდე).

აღსანიშნავია გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს<sup>5</sup> ბავშვთა/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მოდელის გავლენა ამკ-ის პროექტის მომზადების პროცესზე, რამდენადაც აღნიშნული კანონის მოდელი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტია. საერთაშორისო ნორმების სახელმწიფოებრივ კონტექსტში აღქმა სამოდელო კანონმდებლობის მეშვეობით გახდა შესაძლებელი საქართველოში. ბავშვთა/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ზოგადი საკანონმდებლო მოდელის შექმნა იმთავითვე კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობების საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის საკითხს ემსახურებოდა.<sup>6</sup>

აღნიშნული კანონის მოდელი ხანგრძლივი სამუშაო პროცესის შედეგია. მისი შექმნა შთაგონებული იყო *რენატა ვინტერის* მიერ, ჯერ კიდევ 1997 წელს მომზადებული პროექტით. კანონის მოდელი შემუშავებულია *ქეროლინ ჰამილტონის* მიერ და განხილულია 2011 წელს ვენაში შემდგარ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ *ბჰარტი ალი*, *ალექსეი ავტონომოვი*, *მოჰამედ ელევა ბადარი*, *შერონ მორის-ქუმინგსი*, *ბეატრის დუნკანი* და სხვა მრავალი ცნობილი მეცნიერი და ექსპერტი უფლებების სფეროში. აღნიშნული ვერსია შემდგომ გადამუშავდა UNODC-ის მართლმსაჯულების სექციაში და მნიშვნელოვანი ბაზა გახდა მეცნიერული კვლევისა და ანალიზისათვის.<sup>7</sup>

<sup>5</sup> შემდგომ შემოკლებულია, როგორც UNODC.

<sup>6</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები; ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, 2011, გვ. 9, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl4.pdf> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

<sup>7</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები; ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი, ბავშვთა დაცვის განყოფილება, 2011, გვ. 9, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl4.pdf> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

კონვენციას და საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებთან შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქართული მოდელი, ამკ-ის სახით, 2015 წლის 12 ივნისს მიიღო საქართველოს პარლამენტმა და 2016 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა. პრევენციაზე, რეაბილიტაციაზე და ინტეგრაციაზე მიმართული ამკ დღესაც მუდმივი დახვეწისა და განახლების რეჟიმშია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის სამომავლოდ საჭიროა საკანონმდებლო სამუშაო პროცესის გაგრძელება და ქვეყნის სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და პატიმრობის შესახებ კანონმდებლობის რიგი დებულებების გადახედვა/დახვეწა, კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის მონესრიგება, მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამრავალფეროვნება, რესოციალიზაციის, რეაბილიტაციისა და ბავშვზე მორგებული გარემოს ეფექტური უზრუნველყოფა.

ამკ-ის ამოქმედებიდან ოთხი წლის თავზე, 2019 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან მოქმედებს.

დღეისათვის არასრულწლოვნის/ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესზე დაფუძნებული მართლმსაჯულების დამკვიდრების, ბავშვის უფლებების დაცვისა თუ მისი კეთილდღეობის ხელშეწყობის კუთხით, ქვეყნის მასშტაბით საინტერესო სასამართლო პრაქტიკა დაგროვდა.<sup>8</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობით მნიშვნელოვანი პრინციპები იქნა აღიარებული, რაც არა მხოლოდ ამკ-ის ზოგად დებულებებში, არამედ შემდგომ სამართალწარმოების პრაქტიკით – არასრულწლოვნის/ბავშვის (ბრალდებული, მსჯავრდებული, მონმე, დაზარალებული) უფლებების ეფექტიანი დაცვით იქნა რეალიზებული. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა (ამკ-ის მე-4 მუხლი), დისკრიმინაციის აკრძალვა (ამკ-ის მე-5 მუხლი), არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარება (ამკ-ის მე-6

<sup>8</sup> იხ. მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, 2017, გვ. 7-10, <https://rm.coe.int/mosamartleta-saqmianobis-shefaseba-for-web/1680788227> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

მუხლი), თანაზომიერება (ამკ-ის მე-7 მუხლი) ის პრინციპებია, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ ზომას/სასჯელს ჩადენილი დანაშაულის ფარგლებში პროპორციულობისა და თანაზომიერების (ამკ-ის მე-4 მუხლი) საფუძვლით განიხილავს და მისი პიროვნების, ასაკის, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სხვა საჭიროების შესაბამისობით ხსნის.

არასრულწლოვნის მიმართ ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა (ამკ-ის მე-8 მუხლი) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კანონმდებლობით დამკვიდრდა სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში.<sup>9</sup> ასევე, უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო დათქმა არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება (ამკ-ის მე-9 მუხლი)<sup>10</sup>; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში აღიარებულია თვით არასრულწლოვნის მონაწილეობის უფლება და დაუშვებელია მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურება (ამკ-ის მე-11 მუხლი); არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა (ამკ-ის მე-14 მუხლი) და ასევე, მრავალი საპროცესო უფლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეროვნულმა კანონმდებლობამ ქვეყნის სამართალწარმოების პრაქტიკით მყარად დაამკვიდრა.<sup>11</sup>

2020 წლის 1 ივნისიდან ამოქმედებულმა ბავშვის უფლებათა კოდექსმა კონვენციის შესაბამისი „ბავშვის“ და „მოზარდის“ ტერმინის განმარტება მოგვცა. ბავშვის უფლებათა კოდექსით აღიარებულია ბავშვის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები,

რომელიც კონვენციაშია დაცული. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლში ტერმინთა განმარტებისას ასევე არის „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“, „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების“, „გონივრული მისადაგებისა“ და სხვა მრავალი ტერმინის განმარტება, რომლებიც საბოლოოდ ბავშვთა/არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის რეალიზაციას ემსახურება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც გამოიყენება.

ამდენად, ამკ-ით განმტკიცებული ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე გაფართოვდა და დაზუსტდა ბავშვის უფლებათა კოდექსით. ბავშვის უფლებების დასაცავად, განმარტებული იქნა ბავშვის სასამართლოსადმი, ან/და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვის უფლება და მართლმსაჯულების ისეთი სისტემით სარგებლობა, რომელიც ბავშვისთვის იქნება ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისათვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანმიმდევრული, მის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ამასთან, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამოხატველი.

ქვეყნის კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის ნარმატებით განხორციელებით, ბავშვის ძირითადი უფლებების აღიარებით, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და სასჯელის მოხდისა თუ რეაბილიტაციის მთელი პროცესის განმავლობაში, ოჯახურ ყოფა-ცხოვრებასა ან იმ გარემოში, სადაც ბავშვს უხდება ყოფნა – მისი უფლებები საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია. თუმცა პრაქტიკაში ბავშვის უფლებათა კოდექსის დებულებების აღსრულებისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

### III. ბავშვის უფლებები და მათი დაცვა

ჩვენი საზოგადოება ფართოდ და სისტემატურად უნდა იყოს ინფორმირებული ბავშვთა/არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების კუთხით. მნიშვნელოვანია სამართალწარმოების პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის/ბავშვის მიმართ იმ საკანონმდებლო დებულებების ეფექტურად გამოყენება, რომელიც არასრულწლოვანს/ბავშვს, როგორც განსაკუთრებ-

<sup>9</sup> *ხერხეულიძე, ირინე*, აღდგენითი მართლმსაჯულება არასრულწლოვანთათვის: არსებული გამოცდილება და სამომავლო პერსპექტივები, DGStZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი) 3/2022, 68 (ქართული ვერსია).

<sup>10</sup> *შალიკაშვილი, მორის*, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, DGStZ 2/2016, 23 (ქართული ვერსია).

<sup>11</sup> იხ. *ვაბრიძე, ეკატერინე*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მოქმედების სფერო, პუბლიკაციაში: მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2017, გვ. 118-130, <https://rm.coe.int/mosamartleta-saqmianobis-shefaseba-for-web/1680788227> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

ბულად მონყვლად და უმნიფარ კატეგორიას, მა-  
ლალი ხარისხის დაცვას ანიჭებს. ამდენად, (ზრდა-  
სრულისგან განსხვავებული) არასრულწლოვნის/  
ბავშვის უფლებების საყოველთაოდ აღიარება ჩვენი  
საზოგადოების მუდმივი საზრუნავია. ეს სპეციფი-  
კური უფლებები ადამიანის უფლებებისაგან გან-  
სხვავებულ მიდგომასა და, ხშირად, განსხვავებულ  
ინტერპრეტაციას საჭიროებენ. ამ თვალსაზრისით,  
გასათვალისწინებელია მათი დაცვა არასრულწლო-  
ვანთა/ბავშვთა მართლმსაჯულების განხორციელე-  
ბის მთელი პროცესის განმავლობაში.

ბავშვის უფლებათა და არასრულწლოვანთა  
მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით,  
ბავშვის/არასრულწლოვნის მოსმენისა და აზრის  
გათვალისწინების ვალდებულება აღიარებულია  
სამართალწარმოების მთელ პროცესში, ნებისმიერი  
დავის გადანყვეტისას. ეს არ ეხება მხოლოდ არა-  
სრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსა-  
ჯულების პროცესს, არამედ მოიაზრებს სხვადა-  
სხვა, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარ-  
ღვევათა თუ სამოქალაქო სამართალწარმოებას და  
საოჯახო დავებს.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხელშემ-  
კვრელი სახელმწიფოებისგან, მათ შორის, საქარ-  
თველოსგან, მოითხოვს კონვენციის სრულ ინკორ-  
პორაციას და წვერი სახელმწიფოებისათვის სავალ-  
დებულოდ, ეროვნულ სასამართლოებში კონვენ-  
ციის თითქმის ყველა მუხლის პირდაპირი გამოყე-  
ნების აღიარებას. ეროვნული კანონმდებლობისა  
და კონვენციის დებულებებს შორის წინააღმდეგო-  
ბებისა და შეუსაბამობის დროს საქართველოს სა-  
მართალწარმოების პრაქტიკით დადგენილია კონ-  
ვენციის, როგორც საერთაშორისო დოკუმენტის,  
სავალდებულოობა.

ამდენად, კონვენციით უზრუნველყოფილი უფ-  
ლებების სასამართლოს წინაშე გამოყენების შე-  
საძლებლობა და დარღვეული უფლების სასამარ-  
თლოს გზით აღდგენის მოთხოვნა საქართველოს  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონ-  
მდებლობისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის სა-  
ფუძველზე დამკვიდრებულია სასამართლო პრაქ-  
ტიკითაც.

საქართველოში კონვენციის დებულებების რე-  
ალურ ცხოვრებაში განსახორციელებლად გაეროს  
ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნებში მოცე-  
მული მითითებები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანე-  
სია. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ

მომზადებულ დასკვნებში, ასევე, მეათე კომენტარ-  
ში, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კანონთან კონ-  
ფლიქტში მყოფი ყველა ბავშვი, რომელსაც არ შეს-  
რულებია 18 წელი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს  
ბავშვის უფლებათა კონვენციის სტანდარტებითა  
და ნორმებით გათვალისწინებული დაცვით, რაც  
ასახული იქნა საქართველოს შიდა კანონმდებლო-  
ბაში. ეს მნიშვნელოვანი მიღწევა ბავშვის უფლე-  
ბა-მოვალეობების დასაცავად სწრაფად უნდა იქნეს  
რეალიზებული პრაქტიკაში. ეს ყოველივე ბავშვებს  
გაუჩინს აღქმას მათი პატივისა და ღირსების, მათი  
აზრის მოსმენისა და, საბოლოოდ, მათი უფლებების  
დაცვასთან დაკავშირებით.<sup>12</sup>

მნიშვნელოვანია „გაიდლაინები“, დამხმარე  
სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა, რო-  
მელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა  
და ბავშვის უფლებათა კოდექსების დებულებებზე  
სრულყოფილ კომენტარებს უნდა შეიცავდეს. უმ-  
ნიშვნელოვანესია კანონმდებლობის ამოქმედები-  
დან დღემდე დაგროვილი გამოცდილება, სასამარ-  
თლო პრაქტიკა და საერთაშორისო სასამართლოს  
გადაწყვეტილებანი, რომლებიც ბავშვის უფლებე-  
ბის, მისი პატივისა და ღირსების დაცვის საქმეში  
ეფექტურ საშუალებად აღიქმება არა მხოლოდ სა-  
ქართველოში, არამედ კონვენციის ხელშემკვრელ  
ყველა სახელმწიფოში. ამიტომ, ამ დოკუმენტებთან  
მიმართებით ჩვენი ყურადღება, მათი პოპულარი-  
ზაცია საზოგადოებაში, სახელმწიფოს მუდმივი  
ზრუნვის საგანია.<sup>13</sup>

საქართველოს კანონმდებლობით არასრულ-  
წლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების  
პროცესში ბავშვის/არასრულწლოვნის უფლებე-  
ბის დაცვა და კონვენციისეული პრინციპების აღ-  
სრულება დღეისათვის რეალობად იქცა. მოქმედი  
ნორმები იძლევა შესაძლებლობას, არასრულწლო-  
ვანთან ინდივიდუალური მიდგომის შესაბამისად,

<sup>12</sup> *კენჭაძე, ავთანდილ*, სამართლებრივი ნაწილი (კანონ-  
მდებლობა პრობაციასთან მიმართებით), პუბლიკაციაში:  
დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები,  
პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა  
და პროფესიული სწავლებისათვის, 2021, გვ. 210-211,  
<https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/books/aliashvili-danashauli-prevencia.pdf> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

<sup>13</sup> დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები  
პრაქტიკული სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და  
პროფესიული სწავლებისათვის, 2021, გვ. 5, <https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/dec/books/aliashvili-danashauli-prevencia.pdf> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].



ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას, მისი ასაკის, განვითარების დონის, ცხოვრების, აღზრდის პირობების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ოჯახური ვითარების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის შესაძლებლობებზე დაკვირვებით, მიღებულ იქნეს სამართლიანი გადაწყვეტილებები. იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ბავშვის ზოგიერთ უფლებას განსხვავებული მიდგომა და ინტერპრეტაცია სჭირდება. ბავშვის უფლებების ინტერპრეტაციის ორი ძირითადი პრინციპი: ბავშვის განვითარებადი შესაძლებლობები და ჭეშმარიტი ინტერესების პატივისცემის საჭიროება – ის სპეციფიკური მახასიათებლებია, რომლებიც ბავშვის უფლებებისადმი განსხვავებულ მიდგომას ეფუძნება. კონვენციით განსაზღვრული „ბავშვის“ დეფინიციის გვერდით მნიშვნელოვანია მე-3 მუხლით განსაზღვრული ისეთი პროცედურული წესი, როგორცაა ბავშვის ჭეშმარიტი „საუკეთესო ინტერესი“, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში სასამართლოსთვის ამოსავალი წერტილია.

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის გზები ეროვნულ კანონმდებლობასა და სამართალწარმოების პრაქტიკაში ჯერ კიდევ დასაზუსტებელი სამართლებრივი კონცეფციაა და ის ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ-პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზების გზითაც უნდა დაზუსტდეს.<sup>14</sup>

ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ ეს ცნება უნდა განავითაროს, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის, ისე ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისი დებულებების სწორი ინტერპრეტაციით მართლმსაჯულების პრაქტიკაში.

ქვეყნის კანონმდებლობით მონესრიგებულია არასრულწლოვნის საპროცესო უფლებები (ამკ-ის მე-15 მუხლი), რომელთა დაცვა სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესში (როგორც ბრალდებულის, ისევე, მსჯავრდებულის და გამართლებულის ან დაზარალებული არასრულწლოვნის

მიმართ) სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ერთ-ერთი მთავარი მდგენელია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრიორიტეტულობის პრინციპის დაცვით (ამკ-ის მე-11 მუხლი), კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, დისკრიმინაციის აკრძალვა და თანაზომიერების დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში სავალდებულოა. მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის/ბავშვის უფასო იურიდიული მომსახურება, როცა ის გადახდისუუნაროა. არასრულწლოვანი/ბავშვი ასევე სარგებლობს ისეთი უფლებებით, როგორც არის მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლება, თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღება (საჭიროების შემთხვევაში), ასევე, კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლებით სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობა. გათვალისწინებულია, ასევე, საკონსულტაციო დახმარების მიღების უფლება და სხვა, რაც საზოგადოებას აძლევს იმის რწმენას, რომ არასრულწლოვნის/ბავშვის მიმართ სამართალწარმოების პროცესი იქნება სამართლიანი, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

#### IV. სპეციალიზებული სასამართლო ან/და მოსამართლე

არასრულწლოვანთა/ბავშვთა მართლმსაჯულების სფეროში, საერთო სასამართლოების სისტემაში განხორციელებულმა სპეციალიზაციამ ახალი აქტივობები მოითხოვა მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის სწავლების/გადამზადების კუთხით. შესაბამისი ცოდნითა და ფსიქოლოგიური მიდგომებით აღჭურვილნი, ისინი მზად არიან უზრუნველყონ მართლმსაჯულების პროცესში ყველა უფლების დაცვა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპების რეალიზაცია არასრულწლოვნის/ბავშვის ინტერესის სასარგებლოდ.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს<sup>15</sup> ზოგადი პოზიცია მოსამართლეთა, როგორც სამოსამართლეო ხელოვნების ექსპერტების, თაობაზე, უპირველესად უთითებს მათ სათანადო

<sup>14</sup> იხ. *გაბრიჩიძე, ეკატერინე*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მოქმედების სფერო, პუბლიკაციაში: მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, გვ. 119-120, <https://rm.coe.int/mo-samartleta-saqmianobis-shefaseba-for-web/1680788227> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

<sup>15</sup> შემდგომ შემოკლებულია, როგორც CCJE.

ცოდნასა და გამოცდილებაზე, რათა მათ შეძლონ ფაქტებისა და კანონის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, თუ ბავშვის უფლებების კოდექსების სახით) გაანალიზება, შეფასება და გადაწყვეტილების გამოტანა სამართლის სხვადასხვა დარგის (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვ.) საქმეებზე.<sup>16</sup>

ამკ-ის მიღების შემდეგ, ევროპელი კოლეგების რეკომენდაციების შესაბამისად, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა სპეციალიზაცია განხორციელდა. 2012 წლის 5-6 ნოემბრის CCJE-ის N15 დასკვნა მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ მიანიშნებდა, რომ ევროპის ქვეყნებში სპეციალიზებული მოსამართლეები ან/და სპეციალიზებული სასამართლოები გავრცელებული პრაქტიკაა.<sup>17</sup> ასეთი სპეციალიზაცია რეალობაა და იგი სხვადასხვა ფორმით არსებობს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია სპეციალისტთა პალატები არსებული სასამართლოების ბაზაზე, ან ცალკე იქმნება სპეციალიზებული სასამართლოები. ევროპის ბევრი სახელმწიფოსთვის სპეციალიზაციის მაგალითებად დასკვნაში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოებიც სახელდება. “სპეციალიზებული მოსამართლე” არის მოსამართლე, რომლის სპეციალიზაცია შემოიფარგლება კანონმდებლობის გარკვეული დარგებით (მაგ.: სისხლის სამართალი, საგადასახადო სამართალი, საოჯახო სამართალი, ეკონომიკური და ფინანსური სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, კონკურენციის სამართალი), ან ის მოსამართლე, რომელიც მუშაობს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მქონე საქმეზე კონკრეტულ დარგში (მაგ.: სოციალური, ეკონომიკური ან საოჯახო სამართალი).<sup>18</sup>

<sup>16</sup> CCJE-ის 2012 წლის 5-6 ნოემბრის დასკვნა N15, <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია 16.06.2023].

<sup>17</sup> CCJE-ის 2012 წლის 5-6 ნოემბრის დასკვნა N15, პარაგრაფი 4, <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია 16.06.2023].

<sup>18</sup> CCJE-ის 2012 წლის 5-6 ნოემბრის დასკვნა N15 მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ, პარაგრაფი 6: ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეების განხილვის პროცესებში მონაწილეობენ არ მიეკუთვნებიან ზემოხსენებული „სპეციალიზებული მოსამართლეების“ განსაზღვრებას. ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობენ ყველა სისხლის სამართლის საქმის სა-

ამასთანავე, საერთო სასამართლოების სისტემაში ბავშვთა/არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოების დამკვიდრების საჭიროება მისაღები აღმოჩნდა საქართველოსთვის, როგორც კონვენციის ხელშემკვერელი ქვეყნისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის/არასრულწლოვნის უფლება მართლმსაჯულებაზე და ბავშვმა ისარგებლოს ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანმიმდევრული, მის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონვენციასთან საქართველოს მიერთების შემდეგ – ბავშვის უფლებათა კოდექსის სახით ახალი კანონმდებლობის დამკვიდრებით, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებათა ევროპული პრეცედენტული სამართლის გაზიარებით – კომპლექსური გახდა იურიდიულ მეცნიერებაც. მოსამართლისთვის რთულია ყველა ამ დარგის დაუფლება იმ ფონზე, როდესაც საზოგადოების მოთხოვნა უფრო სპეციალიზებულ და ეფექტიან სასამართლოზე დღითიდღე იზრდება.

ამდენად, ამკ-ის ამოქმედების პერიოდისთვის (2016 წელი) მოსამართლეთა სპეციალიზაციის პირობებში უზრუნველყოფილ იქნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა უმრავლესობისათვის – ძირითადად, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი მოსამართლეებისათვის – აუცილებელი ცოდნის მიღება კონვენციასა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალ კანონმდებლობაზე ინტენსიური ტრენინგებისა და პრაქტიკული სწავლების ფორმით. ბავშვის უფლებების საფუძვლიანი ცოდნა განაპირობებს მოსამართლის მიერ გამო-

სამართლო პროცესში. მათზე არ ვრცელდება ყველა ის კოდექსი და წესი, რომელიც ეხება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კორპუსის წევრებს; და ასევე, არ არიან სასამართლო იერარქიის ნაწილი და არ ექვემდებარებიან მის დისციპლინურ და ეთიკურ წესებს, <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია 16.06.2023].

ტანილი გადაწყვეტილებების მაღალ ხარისხს, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ისე ბავშვის უფლებათა კოდექსებით გათვალისწინებული უფლებების დაცვისათვის. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის განვითარებით, ნათლად ჩანს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სასამართლო საქმეების კონცენტრირება სპეციალიზებულ მოსამართლეთა ხელში, რაც უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასა და მათ სამართლებრივ განჭვრეტადობას.

საერთო სასამართლოების სისტემაში სპეციალიზაცია დაეხმარა მოსამართლეებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესების ერთგვაროვანი სამართლებრივი მიდგომებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. მრავალრიცხოვანი საქმეების განხილვის შედეგად, უკეთესად გაანალიზდა სამართალწარმოების პროცესში არსებული რეალობა და გამოწვევები, როგორც ტექნიკურ, ისე სოციალურ თუ ეკონომიკურ დონეებზე და შესაბამისად, მიღებულ იქნა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობისა და კონვენციის შესაბამისია.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სპეციალიზაციამ ბავშვის უფლებათა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შესაძლებელი გახდა საქმისწარმოების გაუმჯობესება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სასამართლოთა გადატვირთულობისა და განსახილველ საქმეთა მუდმივად მზარდი რაოდენობის პირობებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას საერთო სასამართლოების სპეციალიზებული მოსამართლეების მიერ ბავშვის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად დაგროვილი დიდი გამოცდილება გახდა ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების წინაპირობა. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სპეციალიზაციამ უზრუნველყო ბავშვის უფლებათა ცოდნის გამოყენება ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის მიღებული ბავშვის უფლებათა კოდექსის განმარტებითი ბარათის<sup>19</sup> თანახმად, კოდექსი მიზნად ისახავს ბავშვის

კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებამ არაერთ საკანონმდებლო აქტში გამოიწვია ცვლილების განხორციელება, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში<sup>20</sup> შესული ცვლილებით დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე. კერძოდ, სკ-ის 183-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსაც დაემატა ახალი ნორმა – 251<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

ამდენად, საერთო სასამართლოებში სამოსამართლო სპეციალიზაციის საჭიროება კიდევ უფრო აშკარა გახდა ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებისათვის. CCJE მიაწინებებს, რომ როგორც საერთო, ისე სპეციალიზებული სასამართლოების მოსამართლეები უნდა იყვნენ სამოსამართლო

<sup>19</sup> იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/214086?> [ბოლოს ნანახია 27.04.2023].

<sup>20</sup> შემდგომ შემოკლებულია, როგორც სკ.

ხელოვნების ექსპერტები.<sup>21</sup> მათ სამართლებრივი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ფაქტებისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის ნორმების გაანალიზებითა და შეფასებით უნდა შეძლონ გადაწყვეტილების გამოტანა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა სპეციალიზაცია დადებითად არის შეფასებული, მის ნაკლსა და საფრთხეებზე ყურადღებას CCJE-ც ამახვილებს და აღნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს სპეციალიზებულ მოსამართლეთა გამოყოფა სამოსამართლო კორპუსიდან. ასევე, სპეციალიზებულ მოსამართლეებს არ უნდა გაუჩნდეთ ერთსა და იმავე საკითხებზე წარსულში გამოტანილი გადაწყვეტილებების განმეორების სურვილი.<sup>22</sup> აღნიშნულმა, შესაძლოა, შეაფერხოს ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება. ამასთანავე, არსებობს სპეციალიზებული მოსამართლეების იზოლირების საფრთხე და სამართლებრივი განჭვრეტადობის პრობლემა. გარდა ამისა, სპეციალიზებულმა მოსამართლეებმა, ისევე როგორც საერთო სასამართლოებმა, უნდა დააკმაყოფილონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მათ უნდა გააჩნდეთ თანაბარი სტატუსი და უნდა მოქმედებდეს მოსამართლეთა ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთიანი წესები.

მოსამართლეთა მობილობა და მოქნილობა საკმარისი იქნება სპეციალიზაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამდენად, საჯარო სასწავლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგებით/სწავლებებით მოსამართლეთა სპეციალიზაციასა და ბავშვის/არასრულწლოვნის უფლებათა კანონმდებლობის სწავლების შესაძლებლობა ყველა მოსამართლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

## V. დასკვნა

კონვენციის 30 წლისთავი საქართველომ უკვე განხორციელებული და მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვით აღნიშნა. ვფიქრობ, რომ კონვენციის დებულებებით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის კუთხით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და განსაკუთრებული ყურადღება მთელი პროცესის განმავლობაში უნდა დაეთმოს არასრულწლოვნის/ბავშვის ღირსების დაცვას. აღნიშნულის განსახორციელებლად რიგი საერთაშორისო აქტების მთავარი დებულებების ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინება საქართველოს კვლავ მოუწევს. სრულყოფილი ეროვნული საკანონმდებლო ბაზა მოგვცემს შესაძლებლობას, ეფექტურად უზრუნველყვით ბავშვის/არასრულწლოვნის საკანონმდებლო გარანტიების დაცვა ქვეყნის მასშტაბით.

<sup>21</sup> CCJE-ის 2012 წლის 5-6 ნოემბრის დასკვნა N15, პარაგრაფი 24, <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია 16.06.2023].

<sup>22</sup> CCJE)-ის 2012 წლის დასკვნა N15, პარაგრაფი 15, <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია 16.06.2023].

# იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა მართლწინააღმდეგობასა და ბრალს შორის საკამათო სივრცეში\*

პროფესორი, სამართლის დოქ. ბერნდ ჰაინრიხი, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ამ მოკლე სტატიის მეშვეობით, რომელიც გერმანულ სამართალში იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის საკითხს ეხება, 90 წლის იუბილე მივულოცო საქართველოში სისხლის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეცნიერს და, ამავდროულად, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჩვენი ჟურნალის თანარედაქტორს, პროფესორ ოთარ გამყრელიძეს. პროფესორი გამყრელიძე გავიცანი თბილისში 2007 წელს, როდესაც მისი მიწვევით შესაძლებლობა მომეცა, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში წამეკითხა ლექცია თემაზე „ობიექტური შერაცხვა გერმანულ სისხლის სამართალში“. მართალია, „ობიექტურ შერაცხვას“ გერმანიაში იმ დროისთვის დიდი რაოდენობის მხარდაჭერი ჰყავდა, მაგრამ მეგონა, რომ ქართული სისხლის სამართალი, განსაკუთრებით კი ქართული სისხლის სამართლის პრაქტიკა, ჯერ კიდევ შორს იყო ამ საკითხის მეტ-ნაკლები სერიოზულობით მიმდებლობისაგან, მის დამკვიდრებაზე რომ არაფერი ითქვას. მით უფრო გამიკვირდა, როცა აღმოვაჩინე, რომ შევძელი პროფესორ გამყრელიძის სახით გამეცნო არა მხოლოდ აღნიშნული სწავლების თანამოაზრე, არამედ გერმანული სისხლის სამართლის ღრმა ცოდნის მქონე პიროვნება.

პროფესორი გამყრელიძე თავისი ხანგრძლივი აკადემიური მოღვაწეობის განმავლობაში ღრმად და ინტენსიურად იკვლევდა სისხლისსამართლებრივ უმართლობასა და ბრალს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს. ეს იყო ერთ-ერთი ის ძირითადი თემა, რომელიც მას მისი საქმიანობის მანძილზე გამუდმებით ახალი იდეებისკენ უბიძგებდა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მის პატივსაცემად ჩემი სტატიისთვის შემერჩია იძულებითი უკიდურ-

რესი აუცილებლობის პრობლემის შესახებ თემა, რომელიც უმართლობასა და ბრალს შორის მიჯნას განეკუთვნება და რომლისთვისაც ჯერაც ვერ მოხერხდა გერმანულ სამართალში მკაფიო ადგილის მიჩენა.

## II. ცნების განმარტება

იძულებით უკიდურეს აუცილებლობაში იგულისხმება სიტუაცია, როდესაც დამნაშავე იძულებულია, ჩაიდინოს დანაშაული მესამე პირისგან მომავალი ისეთი ძალადობის ან მუქარის შედეგად, რომელიც იმშუთიერ საფრთხეს უქმნის კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს და რომლის თავიდან აცილებაც სხვაგვარად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში თავად დამნაშავეც იძულების მსხვერპლია (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის<sup>1</sup> 240-ე პარაგრაფი), ხოლო მის მიერ ჩადენილი დანაშაული სწორედ იძულების შედეგად გამოწვეული ქმედებაა.<sup>2</sup>

აღნიშნულის თვალსაჩინოებისთვის გამოდგება შემდეგი შემთხვევა: ანტონი გაიტაცებს ბრუნოს ქალიშვილს, გამოკეტავს მას მიტოვებულ საზაფხულო სახლში და ბრუნოსგან მოითხოვს, რომ ცეცხლი წაუკიდოს მისი მეზობლის, ნორბერტის, ფერარის. სანინააღმდეგო შემთხვევაში ბრუნოს გატაცებულ ქალიშვილს მოკლავენ ან ის მიტოვებულ სახლში შიმშილით გარდაიცვლება. ამ ფაქტის პოლიციისთვის შეტყობინება შედეგს ვერ მოიტანს, რადგან პოლიციამაც არ იცის ბრუნოს ქალიშვილის ადგილსამყოფელი, თანაც პოლიციამ გარკვეული დროის შემდეგ რომც აღმოაჩინოს გოგონა, ის უკვე შიმშილისგან გარდაცვლილი იქნება. ბრუნო თავისი ქალიშვილის სიცოცხლის გადასარჩენად სხვა

\* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, აზა მორგოშიამ.

<sup>1</sup> შემდგომ შემოკლებულია, როგორც გსსკ.

<sup>2</sup> შდრ. იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის განმარტება იხ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl. 2022, Rn. 580.*

გზას ვერ ხედავს გარდა იმისა, რომ ნორბერტის ფერარის მართლაც ნაუკიდოს ცეცხლი, რის შედეგადაც ნორბერტის ფერარი სრულად განადგურდება. შემდეგ ანტონი გაათავისუფლებს ბრუნოს ქალიშვილს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კაზუსი გერმანული სამართლის მიხედვით ამოიხსნება, პირველ რიგში, დადგინდება, რომ ბრუნომ ფერარის დანვით განადგურა სხვისი ნივთი და, ამგვარად, განახორციელა გსსკ-ის 303-ე პარაგრაფით გათვალისწინებული, სხვისი ნივთის განადგურების ობიექტური შემადგენლობა. ამასთანავე, მან ეს ქმედება განზრახ ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ ფერარის განადგურება ბრუნოს არსებითი მიზანი არ ყოფილა, მან იცოდა, რომ თავისი ქალიშვილის გადარჩენას შეძლებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანტონის ნებას დაემორჩილებოდა და ავტომობილს დანვავდა. შესაბამისად, ბრუნომ იცოდა, რომ ცეცხლის ნაკიდების შედეგად მანქანა განადგურდებოდა და მას ეს კიდევაც სურდა, რადგან ის მხოლოდ ამ გზით შეძლებდა ნამდვილი „შორეული მიზნის“ (თავისი ქალიშვილის გადარჩენის) მიღწევას. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს არა ევენტუალური განზრახვა, არამედ პირდაპირი განზრახვა, მიუხედავად იმისა, რომ ბრუნოს, როგორც აღინიშნა, საბოლოოდ სხვა მიზნის მიღწევა სურდა. ფერარის განადგურება იყო აუცილებელი შუალედური მიზანი და მას მოიცავდა ბრუნოს განზრახვა.

შემდეგ, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე გადასვლისას, მალევე დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევას არ ესადაგება აუცილებელი მოგერიება (გსსკ-ის §32), როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას ემუქრებოდა იმწუთიერი მართლწინააღმდეგო საფრთხე და ამ თვალსაზრისით არსებობდა გსსკ-ის 32-ე პარაგრაფით გათვალისწინებული, აუცილებელი მოგერიებისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა, ბრუნოს ქმედება მიმართული იყო არა საფრთხის წინაშე უშუალოდ არსებული სიკეთის ხელმყოფლის (ანტონის) ან მისი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ, არამედ მესამე პირის, უდანაშაულო ნორბერტის, სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ; სწორედ ნორბერტის საკუთრებაში არსებული ნივთი განადგურდა ბრუნოს ქმედების შედეგად.

იმის გამო, რომ შესაძლოა ნორბერტი თავისი ქონების განადგურებას არ დასთანხმებოდა და, შე-

საბამისად, მისი თანხმობა/სავარაუდო თანხმობა, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი საფუძველი, არ არსებობს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 904-ე პარაგრაფის გამოყენების საკითხის პარალელურად<sup>3</sup> წარმოიშობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობის დამატებითი გამამართლებელი საფუძვლის საკითხი გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის შესაბამისად. ნორმის თანახმად, მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ქმედებას ჩაიდენს ისეთი იმწუთიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა დამზიანებლის ან სხვის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას, თავისუფლებას, ღირსებას, საკუთრებას, სხვა სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო და გადარჩენილი სიკეთე ხელყოფილ სიკეთეს არსებითად აღემატება. ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ქმედება საფრთხის თავიდან აცილების სათანადო საშუალებაა.

მოცემულ შემთხვევაში პრობლემატური არ არის იმის დადგენა, რომ ბრუნოს ქალიშვილის სიცოცხლეს მართლაც ემუქრებოდა იმწუთიერი საფრთხე, რომლის თავიდან აცილებაც სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო. მართალია, ბრუნოს შეეძლო უარი ეთქვა ანტონის მოთხოვნის შესრულებაზე და, ამის ნაცვლად, პოლიციისთვის დაერეკა, მაგრამ ვინაიდან მისი ქალიშვილის ადგილსამყოფელი პოლიციისთვისაც უცნობი იქნებოდა და მიტოვებულ სახლში საკვების გარეშე დარჩენილ გოგონას ამასობაში შიმშილით სიკვდილი ემუქრე-

<sup>3</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 904-ე პარაგრაფით გათვალისწინებული პრიორიტეტულად განსახილველი გარემოება შეიცავს შეპირისპირებულ სიკეთეთა შედარების ისეთივე კრიტერიუმებს, როგორცაც გსსკ-ის 34-ე პარაგრაფი; *Bünemann, Benjamin/Hömpler, Lars, Nötigungsnotstand bei Gefahr für nichthöchstpersönliche Rechtsgüter, JURA (Juristische Ausbildung) 2010, 184 (187)*. პრობლემატური მდგომარეობა მსგავსია, თუ ამ შემთხვევის შემდგომი გამოკვლევა, გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის თანახმად, აუცილებელია. ის, ვინც ამას დაუშვებლად მიიჩნევს, მოყვანილი მაგალითი შემდეგნაირად უნდა შეცვალოს: ბრუნო ნორბერტის ფერარის კი არ დანვავს, არამედ ნორბერტს ძლიერად გაანწავს სილას. ასეთი შემთხვევა ვერ ექცევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 904-ე პარაგრაფის ფარგლებში და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ შესაძლო საფუძვლად რჩება მხოლოდ გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის გამოყენების საკითხი.

ბოდა, გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად ერთადერთი გამოსავალი ანტონის მოთხოვნის შესრულება და ფერარის დანვა იყო. ამრიგად, არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება.

მართალია, გსსკ-ის 34-ე პარაგრაფი მესამე პირის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ამართლებს, მაგრამ არა შეუზღუდავად. ხელყოფა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი, რომელიც ხელმყოფელს ემუქრება, მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მესამე პირს მიადგეს (ამასთანავე, ხელმყოფლის ქმედება უნდა იყოს თანაზომიერი და აუცილებელი). ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ზოგადი სოლიდარობის იდეაზე: ყველა ვალდებულია, ითმინოს საკუთარ სამართლებრივ სივრცეში ჩარევა, თუ ამან შესაძლოა სხვებს ან მთლიანად საზოგადოებას უფრო დიდი ზიანი აარიდოს თავიდან. ეს იდეა გსსკ-ის 34-ე პარაგრაფში გამოხატულია იმ პირობით, რომ ერთმანეთთან შეპირისპირებული სიკეთეების შედარებისას დაზიანებული სიკეთე არსებითად ნაკლებმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. შესაბამისად, საჭიროა სიკეთეებისა და ინტერესების ყოველმხრივი შეფასება. თუ მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ შეპირისპირებულ სამართლებრივ სიკეთეებს, მარტივი იქნება, ვივარაუდოთ, რომ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს (გოგონას სიცოცხლეს) არა მხოლოდ უფრო დიდი ღირებულება აქვს, არამედ იგი ასევე არსებითად გადასწონის ხელყოფილ სამართლებრივ სიკეთეს (საკუთრების უფლებას ავტომობილზე).

სამსჯელოა, გასათვალისწინებელია თუ არა ან რა კონტექსტში უნდა იქნეს ის ფაქტი გათვალისწინებული, რომ ბრუნო, თუნდაც იძულებით, უმართლობის მხარეს დგება და, ამგვარად, ანტონის ხელში მართლწინააღმდეგოდ მოქმედ იარაღად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგის აზრით, ეს საკითხი შეპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეებისა და ინტერესების შეფასების დროს უნდა იქნეს გამოკვლეული,<sup>4</sup> გაბატონებული მოსაზრე-

ბის თანახმად, აღნიშნული საკითხი გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ თანაზომიერებასთან დაკავშირებული პირობაა (გსსკ-ის 34-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება ესადაგება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც ხელმყოფლის ქმედება საფრთხის თავიდან აცილების თანაზომიერი საშუალებაა).<sup>5</sup> თუმცა ნებისმიერი მოსაზრების გაზიარებისას ისმება მნიშვნელოვანი შეკითხვა: იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში განხორციელებული ქმედება გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის მიხედვით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება საერთოდ არ არსებობს იმის გათვალისწინებით, რომ იძულების მდგომარეობაში მყოფი პირი სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩამდენ იარაღად არის ქცეული. ბოლო მოსაზრება იმ შედეგს იწვევს, რომ მსგავსი შემთხვევების შეფასებისას გსსკ-ის 34-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება არ არსებობს და იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა ბრალის ეტაპზე უნდა შეფასდეს, კერძოდ, საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში. გსსკ-ის 35-ე პარაგრაფის თანახმად, ის, ვინც ჩაიდენს მართლწინააღმდეგო ქმედებას ისეთი იმნუთიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა დამზიანების, მისი ნათესავის ან ახლობელი ადამიანის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას, მოქმედებს ბრალის გარეშე, თუკი ეს საფრთხე არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით ყოფილიყო თავიდან აცილებული [...]. ეს ნორმა არ გამოიყენება, თუ დამზიანებელმა საფრთხე თვითონ შექმნა ან დამზიანებელს განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობის გამო თავად მოეთხოვებოდა საფრთხის საკუთარ თავზე მიღება. გსსკ-ის 35-ე პარაგრაფი შინაარსობრივად უფრო ვიწროა, ვიდრე

<sup>4</sup> *Kühl, Kristian*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 8. Aufl. 2017, § 8 Rn. 127 ff.; *Kühl, Kristian*, *Referendarexamensklausur – Strafrecht: Probleme aus dem Allgemeinen Teil – Ein rabiater Metzgermeister*, *JuS (Juristische Schulung)* 2007, 742, 747; *Roxin, Claus/Greco, Luis*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, Band I, 5. Aufl. 2020, § 16 Rn. 67f.; *Zieschang, Frank*, in: *Leipziger Kommentar zum Strafgesetzbuch*, 13. Aufl. 2019,

§ 34 Rn. 131 f.; *Zieschang, Frank*, *Der rechtfertigende und der entschuldigende Notstand*, *JA (Juristische Arbeitsblätter)* 2007, 679 (683); აგრეთვე, *Erb, Volker*, in: *Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch*, 4. Aufl. 2020, § 34 Rn. 191.

<sup>5</sup> *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl. 2022, Rn. 437 f., 580; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, *Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, 5. Aufl. 1996, § 44 II 3; *Jäger, Christian*, *Examensrepetitorium Strafrecht Allgemeiner Teil*, 10. Aufl. 2021, Rn. 230.

გსსკ-ის 34-ე პარაგრაფი, რადგან ის საპატივებლად მიიჩნევს ისეთი სამართლებრივი სიკეთეების გადა-  
რჩენას, როგორებიც არის სიცოცხლე, სხეულებ-  
რივი მთლიანობა და თავისუფლება, მაგრამ არა  
საკუთრება. ამასთანავე, 35-ე პარაგრაფი საპატივე-  
ბელი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში ით-  
ვალისწინებს მხოლოდ ნათესავეებისა და ახლობელი  
ადამიანების და არა ნებისმიერი მესამე პირის დახ-  
მარებას. განხილულ შემთხვევაში არსებობს ორივე  
ზემოხსენებული წინაპირობა, რადგან ანტონს მისი  
ქალიშვილის გადარჩენა სურდა. მეორე მხრივ,  
გსსკ-ის 35-ე პარაგრაფი გარკვეული თვალსაზრი-  
სით უფრო ფართოა, ვიდრე გსსკ-ის 34-ე პარაგ-  
რაფი, რადგან ის არ მოითხოვს არც შეპირისპირე-  
ბული სამართლებრივი სიკეთეებისა თუ ინტერე-  
სების შედარებას და არც დამზიანებლის ქმედების  
თანაზომიერების შეფასებას მაშინ, როცა ყოვე-  
ლივე ეს სწორედ ის წინაპირობებია, რომელთა გა-  
რეშეც უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე  
მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა ვერ მოხდება.

### III. იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა სისხლისსამართლებრივ უმართლობასა და ბრალს შორის

გერმანულ ლიტერატურაში აქტიური მსჯელობა  
მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა  
გადაიჭრას იძულებითი უკიდურესი აუცილებლო-  
ბის შემთხვევები. ერთი მხრივ, ყურადღება გამახ-  
ვილებულია იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებულ  
მაგალითში ბრუნო თავად არის იძულების მსხვე-  
რპლი, მისი ქმედება არ არის ნებაყოფლობითი და  
გამონეუულია ზენოლით, რაც არ შეიძლება მას  
უარყოფითად შეერაცხოს. ვინაიდან ბრუნო განხორ-  
ციელებულ უმართლობაში არ არის თანაპასუხის-  
მგებელი პირი, მას ისე, როგორც ყველას, უფლება  
აქვს, იურიდიული საზოგადოებისგან მოითხოვოს  
„სოლიდარობა“<sup>6</sup>, რადგან მას ან მოცემულ შემ-  
თხვევაში მის ქალიშვილს მნიშვნელოვანი საფრთხე  
ემუქრება. აქედან გამომდინარე, იძულებითი უკი-  
დურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედ პირს  
(იმდენად, რამდენადაც დაცული სამართლებრივი  
სიკეთე არსებითად გადასწონის ხელყოფილ სიკე-

თეს) უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ისარგებლოს  
გსსკ-ის 34-ე პარაგრაფით.<sup>7</sup> იძულების მდგომარე-  
ობაში მყოფი პირი, როგორც მძიმე დანაშაულის  
მსხვერპლი, მისთვის სწორედ გსსკ-ის 34-ე პარა-  
გრაფით გათვალისწინებული მართლწინააღმდე-  
გობის გამომრიცხველი გარემოებით სარგებლობის  
უზრუნველყოფით უნდა დაიცვას იურიდიულმა  
საზოგადოებამ. იძულების მდგომარეობაში მყოფი  
პირი მასზე იძულების განმახორციელებელი პი-  
რის მიმართ არ არის „სოლიდარული“. შესაბამი-  
სად, ვერ მოხდება მისი უკანონო ქმედებაში და-  
დანაშაულება.<sup>8</sup> სანააღმდეგო შემთხვევაში ის  
არა მხოლოდ იძულების მსხვერპლი გახდებოდა,  
არამედ დამატებით დაეუფლებოდა თავისი ქმედე-  
ბით დაზარალებული პირის შიში,<sup>9</sup> რადგან ამ პირს  
ექნებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში  
იძულების მდგომარეობაში მოქმედი პირისგან თავის  
დაცვის უფლება ხელმყოფლის მართლწინაა-  
ღმდეგო ქმედების წინააღმდეგ (თუ ამ ქმედების  
მართლწინააღმდეგობა გსსკ-ის 34-ე პარაგრაფით

<sup>7</sup> Brand, Christian/Lenk, Maximilian, Probleme des Nötigungsnotstands, JuS 2013, 883 (884f.); Dann, Matthias, Korruption im Notstand – Zur Rechtfertigung von Schmiergeld- und Bestechungszahlungen, wistra (Zeitschrift für Wirtschafts- und Strafstrafrecht) 2011, 127 (132); Engländer, Armin, in: Matt, Holger/Renzikowski, Joachim, Strafgesetzbuch Kommentar, 2. Aufl. 2020, § 34 Rn. 41; Freund, Georg/Rostalski, Frauke, Strafrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl. 2019, § 4 Rn. 54f.; Frister, Helmut, Strafrecht Allgemeiner Teil, 9. Aufl. 2020, 17. Kap. Rn. 19f.; Hoyer, Andreas, in: Systematischer Kommentar zum Strafgesetzbuch, 9. Aufl. 2017; Jakobs, Günther, Strafrecht Allgemeiner Teil, 2. Aufl., 1991, 13. Abschnitt Rn. 14; Joecks, Wolfgang/Jäger, Christian, StGB Studienkommentar, 13. Aufl. 2021, § 34 Rn. 48; Kindhäuser, Urs/Zimmermann, Till, Strafrecht Allgemeiner Teil, 10. Aufl. 2021, § 17 Rn. 38; Köhler, Michael, Strafrecht Allgemeiner Teil, 1996, S. 292f.; Mitsch, Wolfgang, Rechtfertigung und Opferverhalten, 2004, S. 260, 578 ff.; Mitsch, Wolfgang, in: Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht Allgemeiner Teil, 13. Aufl. 2021, § 15 Rn. 106; Pawlik, Michael, Der rechtfertigende Notstand, 2002, S. 301 ff.; Stratenwerth, Günther/Kuhlen, Lothar, Strafrecht Allgemeiner Teil, 6. Aufl. 2011, § 9 Rn. 105; აგრეთვე, Lenk, Maximilian, Anfängerarbeit Strafrecht: Die Drohne des Amor, JuS 2021, 754 (757 f.).

<sup>8</sup> Mitsch, Wolfgang, in: Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht Allgemeiner Teil, 13. Aufl. 2021, § 15 Rn. 106.

<sup>9</sup> Mitsch, Wolfgang, in: Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht Allgemeiner Teil, 13. Aufl. 2021, § 15 Rn. 106.

<sup>6</sup> Zieschang, Frank, in: Leipziger Kommentar zum Strafgesetzbuch, 13. Aufl. 2019, § 34 Rn. 131.



არ გამოირიცხებოდა). ბოლოს, შესაძლოა პირმა მისთვის უცნობი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად (რაც არ ექცევა გსსკ-ის 35-ე პარაგრაფის ფარგლებში) მესამე პირის მუქარის შედეგად სხვისი ნივთიც კი დააზიანოს და მას ამ ქმედების ჩადენის არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც კი ჰქონდეს, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში იგი შესაძლოა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცეს დაუხმარებლობის გამო გსსკ-ის 323c-ე პარაგრაფის შესაბამისად.<sup>10</sup>

ზოგს მიაჩნია, რომ გსსკ-ის 34-ე პარაგრაფი გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება გსსკ-ის 35-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით გათვალისწინებულ სამართლებრივ სიკეთებს: სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობასა და თავისუფლებას.<sup>11</sup> მესამე შეხედულების თანახმად კი, გსსკ-ის 34-ე პარაგრაფი გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იძულების მდგომარეობაში მყოფი პირი, ერთი მხრივ, გსსკ-ის 35-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით გათვალისწინებულ სამართლებრივ სიკეთებს იცავს და, მეორე მხრივ, ხელყოფს მხოლოდ ზოგადსამართლებრივ სიკეთებს ან საკუთრების უფლებას და არა უდანაშაულო მესამე პირის უმაღლეს პერსონალურ სიკეთეს (ვინაიდან მოცემულ მაგალითში ხელყოფილია ნორბერტის საკუთრება – ფერარი, ამ მოსაზრების თანახმად, ბრუნოს ქმედება გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის ფარგლებში ექცევა).<sup>12</sup>

<sup>10</sup> *Frister, Helmut*, Strafrecht Allgemeiner Teil, 9. Aufl. 2020, 17. Kap. Rn. 19.

<sup>11</sup> *Hirsch, Hans Joachim*, in: Leipziger Kommentar zum Strafgesetzbuch, 11. Aufl. 2002 ff., § 34 Rn. 131 f.; *Zieschang, Frank*, JA 2007, 679 (683).

<sup>12</sup> იმავე მიმართულებით (მცირე განსხვავებით) იხ. *Erb, Volker*, in: Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, 4. Aufl. 2020, § 34 Rn. 194; *Kaspar, Johannes*, Strafrecht Allgemeiner Teil, 4. Aufl. 2022, § 5 Rn. 258; *Krey, Volker/ Esser, Robert*, Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl. 2021, Rn. 614; *Momsen, Carsten/Savic, Laura Iva*, in: Beck-Online Kommentar zum Strafgesetzbuch, 55. Edition, Stand 1.11.2022, § 34 Rn. 17; *Neumann, Ulfrid*, in: Nomos-Kommentar zum Strafgesetzbuch, 5. Aufl. 2017, § 34 Rn. 55a; *Neumann, Ulfrid*, Der strafrechtliche Nötigungsnotstand – Rechtfertigung- oder Entschuldigungsgrund?, JA 1988, 329 (335); *Rosenau, Henning*, in: *Satzger, Helmut/ Schluckebier, Wilhelm/Widmaier, Raik*, Strafgesetzbuch Kommentar, § 34 Rn. 30; *Roxin, Claus/Greco, Luis*, Strafrecht Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl. 2020, § 16 Rn. 68f.; *Roxin, Claus*, in: Festschrift für Dietrich Oehler zum 70. Geburtstag 1985, S. 181 (187 ff.); *Zieschang, Frank*, in: Leipzi-

თუმცა გაბატონებული მოსაზრება უარყოფს აღნიშნულ დასაბუთებას<sup>13</sup> იმ მიზეზით, რომ თუკი ასეთი შემთხვევა მართლწინააღმდეგობის გამოირიცხველ გარემოებად მიიჩნევა, ეს მნიშვნელოვნად შეარყევს სამართლებრივი წესრიგის ნამდვილობისადმი ნდობას.<sup>14</sup> ამ შეხედულებას ამყარებს „აუცილებელი მოგერიების ტესტიც“: თუ ბრუნოს ქმედება გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის მიხედვით მართლზომიერად მიიჩნევა, არ იარსებებს ნორბერტის საკუთრების იმნუთიერი მართლწინააღმდეგო ხელყოფა და ნორბერტს არ ექნება შესაძლებლობა, შეენიწინააღმდეგოს საკუთარი ავტომობილის განადგურებას, რაც სამართლიანად არ აღიქმება. შესაბამისად, ბრუნოს ქმედებაში მართლწინააღმდეგობა არ უნდა გამოირიცხოს და მასზე უნდა გავრცელდეს გსსკ-ის 35-ე პარაგრაფი, ისიც მხოლოდ იმ

*ger Kommentar zum Strafgesetzbuch*, 13. Aufl. 2019, § 34 Rn. 131 f.; *Zieschang, Frank*, Strafrecht Allgemeiner Teil, 6. Aufl. 2020, Rn. 272; აგრეთვე, *Rengier, Rudolf*, Strafrecht Allgemeiner Teil, 14. Aufl. 2022, § 19 Rn. 54.

<sup>13</sup> *Berster, Lars*, Anfängerklausur – Strafrecht: Putativnötigungsnotstand – Lude, Luder und Geleimter, JuS 2018, 350 (354); *Hassemer, Winfried*, Freistellung des Täters aufgrund von Drittverhalten, in: Festschrift für Theodor Lenckner zum 70. Geburtstag, 1998, S. 97 (115); *Heinrich, Bernd*, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl. 2022, Rn. 437 f.; *Perron, Walter*, in: *Schönke, Adolf/Schröder, Horst*, Strafgesetzbuch Kommentar, 30. Aufl. 2019, § 34 Rn. 41b; *Jäger, Christian*, Examensrepetitorium Strafrecht Allgemeiner Teil, 10. Aufl. 2021, Rn. 230; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl. 1996, § 44 II 3; *Kudlich, Hans*, Ein Arzt in Not, JA 2009, 185 (187); *Kühl, Kristian*, Strafrecht Allgemeiner Teil, 8. Aufl. 2017, § 8 Rn. 133a; *Kühl, Kristian*, Referendarexamensklausur – Strafrecht: Probleme aus dem Allgemeinen Teil – Ein rabiater Metzgermeister, JuS 2007, 742 (747); *Lenckner, Theodor*, „Gebotensein“ und „Erforderlichkeit“ der Notwehr, GA (Goldammer's Archiv für Strafrecht) 1968, 1 (9); *Marxen, Klaus*, Kompaktkurs Strafrecht Allgemeiner Teil, 2003, Fall 9a; *Meyer, Frank*, Die Problematik des Nötigungsnotstands auf der Grundlage eines Solidaritätsprinzips, GA 2004, 356 (367 ff., თუმცა შეზღუდვებით Fn. 91); *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, Strafrecht Allgemeiner Teil, 52. Aufl. 2022, Rn. 472, 695; დამატებით სასამართლო პრაქტიკიდან (თუმცა ძველი სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით) RGSt (Reichsgericht Amtliche Sammlung) Band 64, 30 (31); RGSt 66, 98; RGSt 66, 397; BGHSt (Bundesgerichtshof Amtliche Sammlung) Band 5, 371.

<sup>14</sup> *Perron, Walter*, in: *Schönke, Adolf/Schröder, Horst*, Strafgesetzbuch Kommentar, 30. Aufl. 2019, § 34 Rn. 41b; აგრეთვე, *Marxen, Klaus*, Kompaktkurs Strafrecht Allgemeiner Teil, 2003, Fall 9a.

შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საქმეში იარსებებს საპატივებელი უკიდურესი აუცილებლობის ყველა საჭირო წინაპირობა.<sup>15</sup> ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ ნორბერტი შეძლებს აუცილებელი მოგერიების უფლებით სარგებლობას ბრუნოს მიერ მისი საკუთრების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის წინააღმდეგ. თუმცა, საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედება შეზღუდული იქნება ქმედების შესაბამისობით, რადგან აუცილებელი მოგერიება მიემართება იმ პირს, რომელიც ბრალეულად არ მოქმედებს.

მოცემული საკითხის შესახებ მსჯელობამდე საჭიროა, აღინიშნოს ერთი შემთხვევა გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც მსგავს პრობლემას ეფუძნება.<sup>16</sup> რუდი ბანკის დაყარაღებას შეესწრო და დამნაშავეები ტონი ამოიცნო. რუდის სისხლის სამართლის საქმეზე სათანადო ჩვენება უნდა მიეცა. სასამართლო სხდომის წინა საღამოს რუდის ესტუმრა პიტერი, რომელმაც რუდის გაუზიარა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის არის იმ დანაშაულებრივი სინდიკატის წევრი, რომელსაც ტონი განეკუთვნება, და თუ რუდი მეორე დღეს ტონის წინააღმდეგ ჩვენებას მისცემს, ჯერ მოკლავენ მის ქალიშვილს, შემდეგ – მის ცოლს და ბოლოს – პირადად მას. ძალიან შეშინებულმა რუდომ დაიფიცა, რომ ტონი არცერთ შემთხვევაში არ იყო მის მიერ ნანახი ყარალი. შესაბამისად, რუდომ სასამართლოს მისცა ცრუ ჩვენება (გსსკ-ის 154-ე პარაგრაფი). გამოსაკვლევი, მოცემულ შემთხვევაში ცრუ ჩვენების მიცემა გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის მიხედვით მართლზომიერია (სადაც წამოიჭრება საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის, „მართლმსაჯულების დაცვის“, და საფრთხის წინაშე მყოფი სიცოცხლის დაცვის სიკეთის შეპირისპირების საკითხი) თუ გსსკ-ის 35-ე პარაგრაფით განსაზღვრული საპატივებელი გარემოება უფრო გამოსადეგია, იმის გათვალისწინებით, რომ საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო. თუ რუდის ქმედება იმ შეცდომამ განაპირობა, რომ სახელმწიფოს დახმარება მას და მის ოჯახს ვერ გადაარჩენდა, იარსებებს თავიდან აუცილებელი შეც-

დომა და რუდის ქმედება გსსკ-ის 35-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის ფარგლებში მოექცევა.<sup>17</sup> ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში პრობლემატურია პიტერის დასჯადობის საკითხიც. თუ სტატიის დასაწყისში მოყვანილ მაგალითში ანტონი შეიძლება შუალობით ამსრულებლად იქნეს მიჩნეული ბრუნოს მიერ განხორციელებული საპატივებელი ქმედების (ავტომობილის დანვის) ასპექტში, იგივე არ ითქმის პიტერის შესახებ, რომელიც გსსკ-ის 154-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დანაშაულს სჩადის და მის შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობა გამოირიცხება. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა პიტერმა ცრუ ჩვენების მიცემის ნაქმედებისთვის აგოს პასუხი, თუმცა ესეც გამოირიცხება, თუ დავუშვებთ, რომ რუდის ქმედება გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის ფარგლებში ექცევა.<sup>18</sup> ეს კი დამატებითი არგუმენტია იმის საწინააღმდეგოდ, რომ რუდის ქმედებაში არსებობს გსსკ-ის 34-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამოირიცხველი გარემოება.

#### IV. დასკვნა

ამრიგად, იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის გსსკ-ის 34-ე პარაგრაფის ფარგლებში მოქცევა არ არის დამაჯერებელი, რადგან ის, თუნდაც იძულების შედეგი იყოს, სისხლისსამართლებრივ უმართლობას ქმნის და ვერ დაეფუძნება იმ არგუმენტს, რომ ქმედება მართლზომიერია და „იურიდიული საზოგადოების სოლიდარობის“ იმედი უნდა ჰქონდეს. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირი დაუცველად არის მიტოვებული. მისი ქმედება ნებისმიერ შემთხვევაში ექცევა გსსკ-ის 35-ე პარაგრაფით გათვალისწინებული საპატივებელი გარემოების ფარგლებში, თუ არსებობს მისი ყველა აუცილებელი წინაპირობა. მართალია, ის დაექვემდებარება მსხვერპლის მხრიდან წინააღ-

<sup>15</sup> ისეთ შემთხვევებში, რომლებსაც ვინრო წინაპირობების გამო გსსკ-ის 35-ე პარაგრაფი ვერ მოიცავს, ეს ავტორები *Bünemann, Benjamin/Hömpfer, Lars*, JURA 2010, 184 (187) გსსკ-ის 35-ე პარაგრაფის ანალოგიით გამოყენებას ემხრობიან.

<sup>16</sup> ეფუძნება შემდეგ შემთხვევას: BGHSt 5, 371.

<sup>17</sup> მსგავსი შემთხვევები იხ. RGSt 66, 98; RGSt 66, 222; RGSt 66, 397; *Timpe, Gerhard*, Grundfälle zum entschuldigenden Notstand (§ 35 I StGB) und zum Notwehrexzess (§ 33 StGB), JuS 1984, 859 (864, Bsp. 3).

<sup>18</sup> *Neumann, Ulfrid*, Der strafrechtliche Nötigungsnotstand – Rechtfertigung- oder Entschuldigungsgrund?, JA 1988, 329 (335); *Weber, Ulrich*, Examensklausur: Das Urteil, JURA 1984, 367 (371).

მდეგობას აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მაგრამ თუკი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირის ქმედება მართლზომიერად მიიჩნეოდა, მისივე ხელყოფის მსხვერპლი აუცილებელი მოგერიების უფლების გარეშე დარჩებოდა და ვერ შეძლებდა, საკუთარი სამართლებრივი სიკეთე ხელყოფისგან დაეცვა. თუ მსხვერპლი შეცდებოდა და იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირის მართლზომიერი თავდასხმისგან თავს დაიცავდა, ის დაუშვებდა შეცდომას აკრძალვაში (შემთხვევა, როდესაც პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ მდგომარეობაში იმყოფება), რაც საბოლოოდ, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მის ბრალეულობას გამომრიცხავდა. შედეგად, იძულების მდგომარეობაში მოქმედ პირს თავადაც გაუჩნდებოდა აუცილებელი მოგერიების უფლება ისეთი მსხვერპლის მიმართ, რომელიც შეცდომით ფიქრობს, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ფარგლებში მოქმედებს. ეს კი მიუღებელ შედეგს გამოიწვევდა: თუ იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირი მის მსხვერპლს იძულებითი მდგომარეობის შესახებ განუმარტავდა და მსხვერპლიც დაუჯერებდა მას, მსხვერპლს მოთმინებით უნდა ენახა, როგორ დაიწვებოდა მისი ფერარი. იმ შემთხვევაში კი, თუ მსხვერპლი მას არ დაუჯერებდა და თავის ავტომობილს ცეცხლისგან დაიცავდა, იძულებითი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედ პირს წარმოეშობოდა აუცილებელი მოგერიების უფლება მსხვერპლის წინააღმდეგ.

მთავარი არგუმენტი, რომელიც გსსკ-ის 34-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების წინააღმდეგ მეტყველებს, არის ის, რომ ასეთ შემთხვევაში იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირის უკან მდგომ, იძულების განმახორციელებელ პირზე იქნებოდა დამოკიდებული, ხელყოფის მსხვერპლს ექნებოდა თუ არა საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში: თუ ის გადანყვეტდა სამართლებრივი სიკეთის თავისი ხელით ხელყოფას, მსხვერპლს წარმოეშობოდა მის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების უფლება, ხოლო თუ იგი მესამე პირს აიძულებდა ამგვარი ხელყოფის განხორციელებას იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში, მსხვერ-

პლი ვერ შეძლებდა თავის დაცვას აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებით.<sup>19</sup> ეს იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირის უკან მდგომ, იძულების განმახორციელებელ პირს მომავალში უბიძგებდა იმისკენ, რომ დანაშაულებრივი ქმედება განხორციელებინა არა თავად, არამედ მესამე პირი გაეხადა იძულებული, ჩაედინა აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება, რათა მსხვერპლს არ ჰქონოდა აუცილებელი მოგერიების უფლება. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირის უკან მდგომი, იძულების განმახორციელებელი პირი, როგორც წესი, შუალობითი ამსრულებელია (რადგან „ცოცხალი იარაღი“ ბრალეულად არ მოქმედებს); თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის, რადგან ზოგ შემთხვევაში საქმე ეხება საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებს (მაგალითად, როგორც არის გსსკ-ის 153-ე პარაგრაფი, ცრუ ჩვენების მიცემა). ასეთ შემთხვევებში რჩება ქმედების მხოლოდ ნაქეზებად კვალიფიკაციის შესაძლებლობა, მაგრამ ამისთვის აუცილებელია ძირითადი ქმედება იყოს მართლწინააღმდეგო. ის არგუმენტი, რომ ამ ხარვეზს გსსკ-ის 160-ე მუხლი შეაფასებს (შეცდენა ცრუ ჩვენების მისაცემად), არ გამოდგება, რადგან ცრუ ჩვენების ნაქეზება ისჯება თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ ერთი წლის ვადით, ხოლო გსსკ-ის 160-ე პარაგრაფი ითვალისწინებს ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას, კერძოდ, არსებითად უფრო მცირე სასჯელს, რომელიც რთულად თუ მოიცავს დანაშაულის უმართლობისა და ბრალის ხარისხს.

<sup>19</sup> აგრეთვე, *Berster, Lars, Anfängerklausur – Strafrecht: Putativnötigungsnotstand – Lude, Luder und Geleitmer, JuS 2018, 350 (354); Roxin, Claus/Greco, Luis, Strafrecht Allgemeiner Teil, Band I, 5. Aufl. 2020, § 16 Rn. 68.*

# განზრახვის ცნება და მისი ადგილი დანაშაულის სისტემაში (ქართული სისხლის სამართლის მიხედვით)

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ლავრენტი მალაქელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

## I. შესავალი

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ტრადიციულად, სამეცნიერო დისკუსიის საგანს წარმოადგენს განზრახვის ცნება და მისი ადგილი დანაშაულის ერთიან სისტემაში. დოგმატიკოსებს შორის როგორც ამ ინსტიტუტის შინაარსობრივ მხარესთან, ისე მის ფუნქციასთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია არ არსებობს. ეს განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული და შემდგომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დამკვიდრებული არაერთგვაროვანი შეხედულებების სიმრავლით.

ქართულ საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში განზრახვა განიხილებოდა როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმა. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში კი კვლავაც აქტუალურია ამ საკითხთან მიმართებაში სამეცნიერო მსჯელობა. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აღნიშნული ცნებების ადგილი და შინაარსი დანაშაულის სისტემაში. მართალია, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმები, ერთი შეხედვით, განსხვავდება ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური ნორმებისგან, მაგრამ ეს ცვლილება, შეიძლება ითქვას, რომ განზრახვის ცნებას ნაკლებად ეხება.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით განზრახვის ცნების ისტორიული განვითარების ეტაპების გაანალიზება და ამის შემდეგ, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების გაკეთება. აღნიშნული პრობლემის განხილვა კი მოხდება როგორც ქართველ მეცნიერთა შეხედულებების, ისე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

## II. ქართველ საბჭოთა მეცნიერთა შეხედულებანი განზრახვის ცნებასთან დაკავშირებით

ქართულ საბჭოთა სისხლის სამართალში, როგორც ზემოთ აღნიშნა განზრახვა როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმა ისე განიხილებოდა. ამაზე მიუთითებდა სწორედ 1960 წლის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება“. ამავე კოდექსის მე-9 მუხლი კი თავად განზრახვის დეფინიციას აყალიბებდა. კერძოდ, დანაშაული განზრახ ჩადენილად ითვლებოდა, „თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურდა ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას“.

მაშასადამე, ადრე მოქმედი სსკ-ის მიხედვით, განზრახვა განსაზღვრული იყო როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმა და იგი თავის თავში მოიცავდა ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, ნებელობასა და საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას.<sup>1</sup>

კანონმდებლის აღნიშნულ პოზიციას იზიარებდა ასევე ქართული საბჭოთა სისხლის სამართლის დოგმატიკაც. სახელდობრ, ამ შეხედულების მომ-

<sup>1</sup> *წერეთელი, თინათინ*, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, N2, 1966, 37; *Макашвили, Владимир*, Уголовная Ответственность за неосторожность, 1957, გვ. 11-12.

ხრეებად გვევლინებიან: *თ. წერეთელი*,<sup>2</sup> *ვ. მაყაშვილი*<sup>3</sup> და *მ. უგრეხელიძე*.<sup>4</sup> ეს ავტორები თავიანთ ნაშრომებში, მართალია, გარკვეული განსხვავებებით, მაგრამ მაინც აქტიურად უჭერენ მხარს განზრახვის, როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმის არსებობის იდეას. ასე მაგალითად, *თ. წერეთლის* მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრალის პრობლემის შესწავლას. ავტორი აღნიშნავს, რომ ბრალი არის „რეალური სინამდვილის გამოვლენის ფორმა, რომელიც მოსამართლის შეფასებისგან დამოუკიდებლად არსებობს“.<sup>5</sup> ანუ, შეიძლება ითქვას, რომ *თ. წერეთლის* მოძღვრებაში ბრალი გაგებულა როგორც პირის ისეთი ფსიქიკური კავშირი მის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან, რომელიც ზნეობისა და მორალურ-პოლიტიკური პოზიციიდან იმსახურებს გაკიცხვას (ე.წ. ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია).<sup>6</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იგი მიუთითებს: „ბრალი ეს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედობასთან და შედეგთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას სოციალისტური საზოგადოების მხრივ“.<sup>7</sup>

გამომდინარე აქედან, *თ. წერეთლის* ეს მოსაზრება განსხვავდება ბრალის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიული თეორიის მიმდევართა

შეხედულებებისგან. უფრო კონკრეტულად, ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკისას *თ. წერეთელი* აღნიშნავს, რომ „ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები არ ცდილობენ ბრალის ცნების მატერიალური შინაარსის გარკვევას, არამედ მაშინვე გადადიან ბრალის ფორმებზე, რომლებსაც განასხვავებენ ფსიქიკური დამოკიდებულების სპეციფიკურობის მიხედვით (განზრახვა – შედეგის გათვალისწინება და მისი სურვილი ან დაშვება, გაუფრთხილებლობა – შედეგის აცდენის დაუსაბუთებელი იმედი ან მისი გაუთვალისწინებლობა, როცა პირს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა იგი)“.<sup>8</sup>

*თ. წერეთლის* ეს მოსაზრება მართებულია. მართლაც, ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიზისი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა დაუდევრობის დროს ფსიქიკური კავშირი ქმედებისა და შედეგის მიმართ ვერ დადასტურდა.<sup>9</sup> გარდა ამისა, ამ დოქტრინას არ შეუძლია დაასაბუთოს აგრეთვე, რატომ გამოირიცხება განზრახ მოქმედი პიროვნების ბრალი, როდესაც ის მისატყვევებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმყოფება.<sup>10</sup> კერძოდ, თუკი ბრალი არის ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარ შედეგთან, მაშინ საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მოქმედ ადამიანსაც უნდა ჰქონდეს ბრალი, ვინაიდან პირი ითვალისწინებს, რომ აზიანებს თავდამსხმელს და სურს კიდევ ეს.<sup>11</sup>

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკის გარდა, *თ. წერეთელი* ასევე არ იზიარებს ბრალის ნორმატიული თეორიის მომხრეთა შეხედულებებსაც.<sup>12</sup> ფინალური მოძღვრების მიერ ბრალიდან

<sup>2</sup> *წერეთელი, თინათინ*, ბრალის ცნების საკითხი, *ჟურნალი „მაცნე“*, N 1, 1960, 128-129; *წერეთელი, თინათინ/ტყეშელიაძე, გიორგი*, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, გვ. 53-55, 60; *Церетели, Тинатин/Макашвили, Владимир*, Понятие вины в уголовном праве, *ჟურნალი „მაცნე“*, 1986, 71-86.

<sup>3</sup> *Макашвили, Владимир*, Уголовная Ответственность за неосторожность, 1957, გვ. 55-57; *მაყაშვილი, ვლადიმერ*, წიგნში: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 47-63; *Makaschwilli, Wladimer*, Schuldprinzip in der sowjetischen Strafgesetzgebung, კრებული: Jescheck, Hans-Heinrich/Kaiser, Günther/Eser, Albin (რედ.), Zweites deutsch-sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie, 1984, გვ. 99.

<sup>4</sup> *უგრეხელიძე, მინდია*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, 1982, გვ. 7-8.

<sup>5</sup> შდრ. *Церетели, Тинатин*, К вопросу о понятии вины, *ჟურნალი „მაცნე“*, N1, 1960, 128-144.

<sup>6</sup> *წერეთელი, თინათინ*, ბრალის ცნების საკითხი, *ჟურნალი „მაცნე“*, 1960, N1, 128-129; *წერეთელი, თინათინ/ტყეშელიაძე, გიორგი*, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, გვ. 53-55, 60; *Церетели, Тинатин, Макашвили, Владимир*, Понятие вины в Уголовном Праве, *ჟურნალი „მაცნე“*, 1986, 71-86.

<sup>7</sup> *წერეთელი, თინათინ/ტყეშელიაძე, გიორგი*, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, გვ. 60.

<sup>8</sup> *წერეთელი, თინათინ*, თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტთა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა, ცნების საკითხი, *ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“*, N6, 1974, 3-4.

<sup>9</sup> იხ. *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 1996, გვ. 420.

<sup>10</sup> *Roxin, Claus*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, გვ. 856; ქართულ ენაზე ასევე იხილეთ *ვესელის, იოჰანეს/ბოილკე, ვერნერ*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ქართული გამოცემის რედ. *დვალაძე, ირაკლი*, 38-ე გამოცემა, 2010, გვ. 223.

<sup>11</sup> *გამყრელიძე, ოთარ*, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა (გაგრძელება), *ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“*, N4, 2002, 78.

<sup>12</sup> შდრ. *წერეთელი, თინათინ/ტყეშელიაძე, გიორგი*, მოძღვრება დანაშაულზე, 1969, გვ. 134-137; *წერეთელი,*

მოქმედების სფეროში გადატანილი განზრახვა, ავტორის აზრით, მართებულად ვერ ჩაითვლება. იგი მიიჩნევა, რომ „მოქმედების სფეროში გადატანილი განზრახვა ყოველგვარ ეთიკურ მომენტს მოკლებულ, ინდიფერენტულ ცნებად იქცა“.<sup>13</sup>

ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას ემხრობა ასევე ვ. მაყაშვილიც. ავტორი აკრიტიკებს რა ნორმატიულ თეორიას, უთითებს: „ნორმატივისტების შეცდომა ისაა, რომ ისინი შეფასებითი მსჯელობისას თავიდან იცილებენ შეფასების საგანს, ე.ი. იმ განსაზღვრულ ფაქტს, რომელიც დანაშაულის ჩამდენის ფსიქიკაში არსებობს. სწორედ ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ამ რეალურ ფაქტებში უდევს საფუძველი ბრალს და არა შიშველ შეფასებით მსჯელობაში. ეს უკანასკნელი არის მხოლოდ რეზულტატი, მხოლოდ ჩვენი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირის ფსიქიკური მდგომარეობა იმსახურებს მორალურ-პოლიტიკურ მსჯავრს და გაკიცხვას, და ამიტომ პირი სასჯელის ღირსია“.<sup>14</sup>

მაშასადამე, თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი კატეგორიულად ემიჯნებიან ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ მოძღვრებას. მათი შეხედულებები, შეიძლება ითქვას, რომ ეფუძნება ბრალის ე.წ. ნორმატიულ-ფსიქოლოგიური დოქტრინის იმ წარმომადგენელთა მოსაზრებებს, რომლებიც ბრალს განმარტავენ ფსიქოლოგიურად ან ნორმატიულად.<sup>15</sup>

უფრო ზუსტად რომ ითქვას, ამ მოძღვრების ქართველი მიმდევრები თავიანთ ნაშრომებში აკეთებენ ბრალის ფსიქოლოგიურ და ნორმატივისტულ ცნებათა „სინთეზს“.<sup>16</sup>

კერძოდ, ფსიქიკური დამოკიდებულებისადმი გასაკიცხაობის დამატება მათ მოძღვრებაში ბრალის შესახებ მსჯელობისას ამოსავალი პრინციპია. თუმცა, ამ თეორიის გერმანელ წარმომადგენელთა შეხედულებებისგან განსხვავებით, ბრალი როგორც თ. წერეთელთან, ისე ვ. მაყაშვილთან არა მოსამართლის პოზიციიდან გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა,<sup>17</sup> არამედ მოსამართლის შეფასებისგან დამოუკიდებლად არსებული ეთიკურად, ზნეობისა და მორალურ-პოლიტიკური პოზიციიდან გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება.<sup>18</sup>

ბრალის ამგვარი განმარტების მიუხედავად, განზრახვა აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, კვლავ ბრალის ეტაპზე მოწმდება. სახელდობრ, განზრახვა, დანაშაულის კლასიკური და ფინალური მოძღვრებისგან განსხვავებით, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება, შეფასების პარალელურად განაგრძობს არსებობას ბრალის სფეროში და ორივე ეს მომენტი – ფსიქიკური დამოკიდებულება და გასაკიცხაობა – ბრალის ცნების დამოუკიდებელი, განსხვავებული კატეგორიებია. სწორედ ამით განსხვავდება ეს მოძღვრება როგორც ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური, ისე ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიისგან.<sup>19</sup>

თინათინ, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი, 1966, გვ. 35-44.

<sup>13</sup> წერეთელი, თინათინ, თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტთა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა, ცნების საკითხი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, N6, 1974, 17; წერეთელი, თინათინ, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, N2, 1966, 26-37.

<sup>14</sup> Макашвили, Владимир, Уголовная Ответственность за Неосторожность, 1957, გვ. 55-57; სურგულაძე, ლამარა, სისხლის სამართალი, დანაშაული, 1997, გვ. 181; მაყაშვილი, ვლადიმერ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 47-63; Makaschwilli, Wladimer, Schuldprinzip in der sowjetischen Strafgesetzgebung, კრებული: Jescheck, Hans-Heinrich/Kaiser, Günther/Eser, Albin (რედ.), Zweites deutsch-sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie, 1984, გვ. 99.

<sup>15</sup> Baumann, Jürgen/Weber, Ulrich, Strafrecht, Allgemeiner Teil, 9. Auflage, 1985, გვ. 369; Radbruch, Gustav, Zur Systematik der Verbrechenslehre, in: Festgabe für Reinhard von Frank, Band I, 1930, გვ. 167-168.

<sup>16</sup> შდრ. კუტალია, ლაშა-გიორგი, ბრალი სისხლის სამართალში, 2000, გვ. 310.

<sup>17</sup> როზენფელდს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა, რომლის მიხედვით, „ბრალი უნდა იყოს არა დამნაშავის, არამედ მოსამართლის თავში“ – „Die Schuld stecke nicht im Kopf des Täters, sondern in den Köpfen der Bewerter, der Richter“. ამის შესახებ იხ. Rosenfeld, Ernst Heinrich, Schuld und Vorsatz im v. Lisztschen Lehrbuch, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft, ZStW 32, (1911), 469; ასევე, შდრ. Baumann, Jürgen/Weber, Ulrich, Strafrecht, AT, 9. Aufl., 1985, გვ. 369; ქართულ ენაზე შდრ. ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 408.

<sup>18</sup> ბრალის ამგვარი განმარტება გაკრიტიკებულია ლაშა-გიორგი კუტალიას მიერ. ამ საკითხთან მიმართებაში იხილეთ კუტალია, ლაშა-გიორგი, ბრალი სისხლის სამართალში, 2000, გვ. 310-312.

<sup>19</sup> ფსიქიკური დამოკიდებულებისა და გასაკიცხაობის ურთიერთობაში ხედავს ამ განსხვავებას მინდია უგრეხელიძეც, შდრ. უგრეხელიძე, მინდია, ბრალი საფრთხის დელიქტებში, 1982, გვ. 7-8, 318.

### III. განზრახვის ცნების გაგება თანამედროვე ქართული სისხლის სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

თანამედროვე ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში შეიძლება გამოიყოს ავტორთა ორი ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემას განსხვავებულად აანალიზებს. მეცნიერთა პირველი ნაწილი განზრახვას ბრალში მოიაზრებს, მეორე ნაწილი კი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს. ავტორთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან *გ. ტყეშელიაძე*, *გ. ნაჭყებია*, *ლ. გ. კუტალია*, *ნ. თოდუა*, ავტორთა მეორე ჯგუფს კი – *ო. გამყრელიძე*, *მ. ტურავა*, *ი. დვალიძე*.

*გ. ტყეშელიაძე* განზრახვას, ისევე, როგორც გაუფრთხილებლობას, მოქმედი კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარე, ბრალს აკუთვნებს და ამ უკანასკნელს ნორმატიულ ფუნქციასაც ანიჭებს.<sup>20</sup>

*გ. ნაჭყებიას* მოსაზრებით, ბრალი არის „მართლზომიერი ქმედების ვალდებულებიდან სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება“, რომელიც „არაა მონყვეტილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას“, მაგრამ არც „ამ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე დაიყვანება“. „განზრახვა და გაუფრთხილებლობა კი ამ უპასუხისმგებლობის, ე.ი. ბრალის ფორმებია“.<sup>21</sup>

*გ. ნაჭყებიას* შეხედულებას ერთ-ერთში იზიარებს ასევე *ნ. თოდუა*. ავტორის აზრით, ბრალი არის „მართლზომიერი ქმედების ვალდებულებიდან სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც, ერთი მხრივ, სუბიექტის თვისე-

ბას გამოხატავს, ხოლო, მეორე მხრივ – ქმედების თვისებას, თუმცა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამ ქმედების შეფასებაზე“.<sup>22</sup> იგი როგორც განზრახვას, ისე გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად აღიარებს.<sup>23</sup>

*ლ. გ. კუტალიაც* განზრახვასა და გაუფრთხილებლობას ბრალის ეტაპზე განიხილავს. ამის შესახებ ავტორი უთითებს: „სისხლისსამართლებრივი ბრალი არის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ნებისმიერად ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევა, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზიანო შედეგის ან საფრთხის სუბიექტური მიზეზი“.<sup>24</sup>

ზემოაღნიშნულ ავტორთა შეხედულების საწინააღმდეგოდ, *მ. ტურავა* განზრახვას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილავს.<sup>25</sup> იგი განზრახვის ცალკეულ ელემენტებს დანაშაულის სისტემაში განსხვავებულად ანაწილებს. კერძოდ, მის ორ კომპონენტს – ცოდნასა და ნებელობას ქმედების შემადგენლობის, ხოლო მართლზომიერადმდეგობის შეგნებას ბრალის სფეროში მოიაზრებს.<sup>26</sup>

მისი თვალსაზრისით, განზრახვის სამი კომპონენტიდან პირველი ორი უნდა დადგინდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე, რადგან, ავტორის პოზიციით, ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა და ნებელობა აქვს არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ პირს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებას მართლზომიერად.<sup>27</sup> უმართლობის შეგნება კი, ქმედების განზრახვისგან

<sup>20</sup> *ტყეშელიაძე, გიორგი*, წიგნში: *ნაჭყებია, გურამ/დვალიძე, ირაკლი (რედ.)*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, გვ. 128; *ტყეშელიაძე, გიორგი*, ბრალი შეფასებითი ცნებაა, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებულში: მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, 2003, გვ. 326.

<sup>21</sup> შდრ. *ნაჭყებია, გურამ*, წიგნში: *ნაჭყებია, გურამ/დვალიძე, ირაკლი (რედ.)*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, გვ. 25-26; *ნაჭყებია, გურამ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378-390; *ნაჭყებია, გურამ*, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, 2001, გვ. 290-296; *ნაჭყებია, გურამ*, დანაშაული ბრალის ორი ფორმით, *ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“*, N1, 2009, 26-34; *ნაჭყებია, გურამ*, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, *ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“*, N2, 2009, 26-33.

<sup>22</sup> *ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა*, ბრალის ხარისხის ცნება და მნიშვნელობა, წიგნში: *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-3 გამოცემა*, 2018, გვ. 245.

<sup>23</sup> *ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა*, ბრალის ხარისხის ცნება და მნიშვნელობა, წიგნში: *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-3 გამოცემა*, 2018, გვ. 226-233, 233-240.

<sup>24</sup> *კუტალია, ლაშა-გიორგი*, ბრალი სისხლის სამართალში, 2000, გვ. 575.

<sup>25</sup> *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 127-129; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 262-263.

<sup>26</sup> *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 129-136, 220-227; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 265-266.

<sup>27</sup> *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 266.

დამოუკიდებლად, ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს.

ეს უკანასკნელი პოზიცია დასაბუთებულია. ადამიანის ქცევა მისი ფსიქიკისგან განუყრელია. შესაბამისად, ადამიანის ქცევისგან განზრახვის გათიშვა და მისი ბრალის ცნებაში გადატანა გაუმართლებელია. გარდა ამისა, ბრალი, როგორც თავად შეფასება, არ შეიძლება შეიცავდეს შეფასების ობიექტს – განზრახვას – როგორც ფსიქიკურ კატეგორიას. იგი ან ფსიქოლოგიურ კატეგორიად უნდა დარჩეს, ან მართო შეფასებით კატეგორიად იქცეს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, არაბოროტი განზრახვა, უდავოდ, ქმედების შემადგენლობას უნდა ეკუთვნოდეს.

*მ. ტურავასგან* განსხვავებით, *ო. გამყრელიძე* ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ელემენტად მხოლოდ განზრახვას მიიჩნევს, გაუფრთხილებლობას კი ბრალში განიხილავს. „განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარე..., ყოველგვარი შეფასებისაგან თავისუფალი უნდა იყოს“,<sup>28</sup> – აღნიშნავს ავტორი. იგი, ისევე როგორც *მ. ტურავა*, განზრახვის ორ კომპონენტს – ცოდნასა და ნებელობას – ქმედების სუბიექტური შემადგენლობის კომპონენტებად აღიარებს, ხოლო მართლწინააღმდეგობის შეგნებას ბრალის დამოუკიდებელ ერთ-ერთ ნიშნად აცხადებს. ამის შესახებ *ო. გამყრელიძე* მიუთითებს: „შეცნობილი ჰქონდა თუ არა მოქმედს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათი, ეს ბრალზე მსჯელობის დროს უნდა გაირკვეს, როცა ჩადენილი უმართლობა ფასდება და ბრალი დგინდება“.<sup>29</sup>

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ქართველ მეცნიერებში ერთ-ერთი პირველია *ო. გამყრელიძე*, რომელმაც განზრახვა, როგორც არაბოროტი განზრახვა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე დაასაბუთა. მის გამორჩეულ ნაშრომში „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწი-

ფოსათვის“, რომელიც ავტორმა ჯერ კიდევ 1998 წელს გამოსცა, წარმოადგინა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ალტერნატიული პროექტი, სადაც განზრახვის ცნებას ცალკე მუხლი მიუძღვნა. კერძოდ, ავტორს განზრახვა შემდეგი ფორმით აქვს ჩამოყალიბებული: „განზრახ მოქმედებს ის, ვისაც შეცნობილი აქვს და სურს განახორციელოს განსაზღვრული ქმედება ან შედეგი. განზრახ მოქმედებს ისიც, ვისაც შეცნობილი აქვს, რომ მის ქმედებას აუცილებლად მოჰყვება განსაზღვრული შედეგი. განზრახია მოქმედება მაშინაც, როცა მოქმედი, რომელსაც არ სურს შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელება, შეგნებულად უშვებს მის დადგომას“.<sup>30</sup>

ასე რომ, *ო. გამყრელიძე*, ისევე როგორც *მ. ტურავა*, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის ანალოგიურ ინტერპრეტაციას აკეთებს და განზრახვა ბრალის ცნებიდან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე გადააქვს.

განზრახვას, ორმაგ ფუნქციას აღიარებს ასევე *ი. დვალაძე*. ამის შესახებ იგი აღნიშნავს: „სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის ორივე სახის განსაზღვრების მიხედვით, განზრახვა ბრალის ფორმად გვევლინება, რადგან პირდაპირი განზრახვისა და არაპირდაპირი განზრახვის განსაზღვრებებში მითითებულია მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი განზრახვა უკვე უარყოფითი ნიშნითაა დალდასმული და განზრახვა ბრალის ფორმაა“.<sup>31</sup> თუმცა, ავტორი არც ქცევას ტოვებს განზრახვის გარეშე, რაც ლოგიკურად იქიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი ქცევა მოტივისა და მიზნის გარეშე არ არსებობს, ე.ი. სადაც მოტივი და მიზანია, იქ აუცილებლად განზრახვაც მოიაზრება. ამდენად, *ი. დვალაძე* განზრახვას ქმედებისა და ბრალის ეტაპზე სხვადასხვა ფუნქციას ანიჭებს: განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე არის ქცევის ფორმა, ხოლო ბრალის ეტაპზე იგი წარმოადგენს ბრალის ფორმას.

<sup>28</sup> *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 99; იხ. *ოთარ გამყრელიძის* ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლი, ნიგნში: *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 274; *გამყრელიძე, ოთარ*, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა (გაგრძელება), ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, 2002, 72-90.

<sup>29</sup> შდრ. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 99.

<sup>30</sup> *ოთარ გამყრელიძის* ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლი, ამის შესახებ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, ალტერნატიული პროექტის მე-10 მუხლი, ნიგნში: *გამყრელიძე, ოთარ*, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, 1998, გვ. 274.

<sup>31</sup> *დვალაძე, ირაკლი*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა დანაშაულის კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 101.



ანალოგიური პოზიცია გატარებულია ასევე ჩემს სადისერტაციო ნაშრომშიც.<sup>32</sup> სახელდობრ, განზრახვის სამი კომპონენტიდან პირველი ორი საჭიროა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დადგინდეს, რადგან ცოდნა და ნებელობა ფაქტობრივი გარემოებებისადმი აქვს არა მარტო დამნაშავეს, არამედ მასაც, ვინც მოქმედებს მართლზომიერად, ხოლო მესამე კომპონენტი ბრალის ეტაპზე უნდა შემოწმდეს. ე.წ. „ბუნებრივი განზრახვა“ მართლწინააღმდეგობის შეგნების დადასტურების შემთხვევაში, იქცევა „ბოროტ განზრახვად“ და პირი განზრახი დანაშაულის ჩადენის გამო დაისჯება.<sup>33</sup>

ბოროტი განზრახვის დადგენა კი, ძირითადად, არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემოწმებას. ქმედების შემადგენლობის სტადიაზე განზრახვის არსებობა, როგორც წესი, გულისხმობს ბოროტი განზრახვის არსებობის ვარაუდს. ბრალის ეტაპზე განზრახვის სპეციალურად დადგენის შემთხვევაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი მოჩვენებითი გარემოებანი და აკრძალვაში შეცდომა. ასე რომ, ამ მსჯელობის მიხედვით, განზრახვას ორმაგი ფუნქცია ენიჭება ქმედების შემადგენლობისა და ბრალის ეტაპზე. განზრახვა, ცალკე აღებული, დანაშაულის სისტემაში ერთდროულად წარმოადგენს როგორც ქცევის ფორმას, ასევე ბრალის ფორმას ე.წ. „განზრახვის ბრალის“ სახით;<sup>34</sup> ე.ი. განზრახვა განსაზღვრავს როგორც უმართლობის, ასევე ინდივიდის ბრალის შინაარსს.

განზრახვას, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის დამოუკიდებელ ელემენტს აღიარებს ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკაც.<sup>35</sup>

<sup>32</sup> მალაკელიძე, ლავერენტი, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013; ასევე შდრ. მალაკელიძე, ლავერენტი, ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში, ყურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N5, 2015, 101-102.

<sup>33</sup> მალაკელიძე, ლავერენტი, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013, გვ. 210-213.

<sup>34</sup> მალაკელიძე, ლავერენტი, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013, გვ. 213.

<sup>35</sup> შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 07 ოქტომბრის N237აპ გადაწყვეტილება, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 11

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა; „საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა“.<sup>36</sup>

ამდენად, როგორც ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, ისე სასამართლო პრაქტიკაც აღიარებს განზრახვას როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტად, რომელიც სწორედ ამ ეტაპზე საჭიროებს შემოწმებას და იგი მხოლოდ ორი ნიშნით – ფაქტობრივი გარემოებების ცოდნით და ნებელობით – უნდა იქნეს დასაბუთებული.

#### IV. დასკვნა

განზრახვის ცნების შესახებ, როგორც აღმოჩნდა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისის მიხედვით, განზრახვა ქმედების სუბიექტურ სფეროში მოიაზრება, ხოლო მეორე ნაწილის პოზიციის თანახმად, ეს ცნება ბრალში საჭიროებს განხილვას.

ზემოთ მოცემული სხვადასხვა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მხარდაჭერას უფრო ავტორთა ის თვალსაზრისი იმსახურებს, რომლის მიხედვით, განზრახვა ქმედე-

იანვრის N661აპ-09 გადაწყვეტილება, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის N227აპ-16 გადაწყვეტილება.

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 10 დეკემბრის N379-აპ გადაწყვეტილება, ასევე, შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის N 527აპ-17 გადაწყვეტილება.

ბის შემადგენლობის ეტაპზეა წარმოდგენილი. კერძოდ, განზრახვა, როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა, საჭიროა, შემონმდეს სწორედ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე. ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს არა მარტო მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედ დამნაშავეს, არამედ მასაც, ვინც იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მოქმედებს მართლზომიერად. სწორედ ამიტომ, განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი მხარე ბრალის ეტაპამდე, ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში უნდა იქნეს დადგენილი.

ამ მეცნიერული დისკუსიის დასრულება კი შესაძლებელია, თუკი მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საკონომდებლო ცვლილებების გზით მოხდება განზრახვის ცნების ახლებური რეგულირება და მისი შინაარსი შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდება:

„1. განზრახ მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას ცოდნითა და ნებელობით განახორციელებს.

2. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გამიზნულად სურდა შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას.

3. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირი ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და გამიზნულად არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შინაგანად ეგუებოდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“